პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. ტ ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზობლიანი დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 5 სექტემბერი, 1950 წ. № 196 (8756). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საქართველოს მეჩაიეთა დიდი გამარჯვება, დიდი ამოცანები — მოწინავე (1-ლი გვერდი).

კაკაკი ამახანაგ ი. ბ. სტალინისადმი უკრაინის სს რესპუბლიკის მიერ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

ამახანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).

კინოს მუშაკთა კეთილშობილური მოგზაურობა—„პრავდის“ 4/IX მოწინავე (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირში (მე-2 გვერდი).

აზიტაცია მასალების ეკონომიისათვის (მე-2 გვერდი).

ხალხი აღფრთოვანებულ შეხვედრებს უწყობს მამაც საბჭოთა ალპინისტებს (მე-3 გვერდი).

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი სოჩში (მე-3 გვერდი).

ბ. ბურთიაშვილი — „ორი ბანაკი“ (მე-3 გვერდი).

კოტრის ამბები (მე-4 გვერდი).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება (მე-4 გვერდი).

საქართველოს მეჩაიეთა დიდი გამარჯვება, დიდი ამოცანები

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი დაუღალავად ზრუნავენ ჩვენში სუბტროპიკული კულტურების ფართოთარგნისათვის. საქართველოს მთავრობა უდიდეს დახმარებას უწევს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და კერძოდ ჩაის მეურნეობას ფულადი სახსრებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით და მრავალფეროვნ სასუქებით. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1948 წლის 15 აპრილს თავის მოხსენებაში ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა: „ჩაისა და ციტრუსების დიდი მეურნეობის შექმნა საქართველოს ბოლშევიკებისა და მთელი ქართველი ხალხის უდიდესი მოხალთარისა სოციალ მეურნეობის დარგში. ჩვენს ხალს ღრმად აქვს შეგნებული, რომ ამ მონაპოვარს იგი უნდა უმადლოდეს ამხანაგ **სტალინს** — საქართველოში სუბტროპიკული კულტურების დარგვასა და განვითარების ინიციატორს—და ამხანაგ **ბერიას**, რომელიც ამტიკეე სიფუფველი ჩაუყარა ჩვენს სუბტროპიკულ მეურნეობას. ჩვენი მოვალეობაა გავამთლოთ ის უდიდესი ყურადღება, ის გულისხმიერება, რასაც ამხანაგი **სტალინი** იჩენს საბჭოთა სუბტროპიკების მდგომარეობისა და განვითარების საკითხებისადმი“.

საქართველოს მეჩაიეები სტალინურ მზრუნველობას ჩაის მეურნეობის განვითარებისათვის მასაცური შრომით უპასუხებენ. მათ კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი განსაკუთრებული პასუხისგებლობა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, ამხანაგ სტალინის წინაშე საქართველოს სოფლის მეურნეობის. ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებისათვის.

დიდმა სტალინმა დაგვისახა საბრძოლო ამოცანა — უახლოეს წლებში მთლიანად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება ჩვენი საკუთარი ჩაით. ამ დავალების შესასრულებლად საქართველოს ბოლშევიკები, ყველა შშრომელი ყოველწლიურად ადიდებენ ჩაის წარმოებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სიწარმო მაჩეკნენტები, რომ წელს მეჩაიეებმა მოიპოვეს ნედლეულის კრეფისა და დამზადების საქმეში.

ჩვენი გაზეთის 2 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი საქართველოს სსრ რესპუბლიკის მიერ სახელმწიფოსათვის ჩაის მშვანე ფოთლის ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ. ჩაის მეურნეობის ორმაგლობისათვის ბრძოლის ისტორიაში შესანიშნავი ფურცელი ჩაიწერა. **მიღწეულია ახალი სერიოზული გამარჯვება ჩაის ფრონტზე.** პურის დამზადების წლიური გეგმის ვადამდე შესრულების შემდეგ საქართველოს მშრომელებმა სიხარულით მოახსენეს ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს, რომ სუბტროპიკული რაიონების კოლმეურეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა **29 აგვისტოს ვადამდე შესარულეს ჩაის მშვანე ფოთლის კრეფისა და ჩაბარების წლიური გეგმა. მოკრეფილი და ჩაის ფაბრიკებისათვის ჩაბარებულია 11.772 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან.** აღსანიშნავია, რომ **წელს დამზადებული ჩაის ფოთლის საერთო რაოდენობა ერთობრივად და მეტად აღემატება პირველი და მეორე ხარისხის ჩაის ფოთლის დამზადების ოსმიდელი 1940 წლის რაოდენობას.** მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაა შესრულებული საგეგმო დავალება დამზადებული ჩაის ფოთლის ხარისხის მხრივ. **სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მშვანე ფოთლის საერთო რაოდენობიდან 87,6 პროცენტს შეადგენს პირველი ხარისხის ფოთოლი და 12,4 პროცენტს—მეორე ხარისხისა.**

ეს შესანიშნავი გამარჯვება სიხარულისა და კმაყოფილების სიამაყის გრძნობას იწვევს თვითეული შშრომელის გულში. ჩაის მეურნეობის განვითარების ისტორიას დღემდე არ ახსოვს, რომ გეგმა ასე მოკლე ვადაში და ასეც ასე დიდი გადაჭარბებით და ძირითადად პირველი ხარისხის ფოთლით შესრულებულიყოს. მაგალითად, 1939 წელს საქართველოს კოლმეურეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მშვანე ფოთლის კრეფისა და ჩაბარების წლიური გეგმა შესარულეს 1 ოქტომბრისათვის, 1940 წელს — 25 ოქტომბრისათვის, 1945 წელს — 5 ნოემბრისათვის, 1947 წელს — 10 სექტემბრისათვის, 1948 წელს — 27 სექტემბრისათვის, 1949 წელს — 25 სექტემბრისათვის.

შესანიშნავი გამარჯვება ჩაის მეურნეობის დარგში მოპოვებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად დიდი სტალინის ყოველდღიური დახმარებისა და ყურადღების მეოხებით.

შესანიშნავი გამარჯვება ჩაის მეურნეობის დარგში მოპოვებულია პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების **დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით, საკოლმეურნეო სოფლის შშრომელთა დაძაბული შრომით.** ჩვენთან ამაღლდა მეჩაიე კოლმეურნეობებსა ხელმძღვანელობის დონე, გადაჭრით გაუმჯობესდა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავება, ფურცეულ ხოლიკლადი მოწმენავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მოთხოვნები, განსაკუთრებული ყურადღება ეძღვენა მიხეილური სასუქების ეფექტურად გამოყენებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას საკოლეურნეო წარმოებაში.

ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებას დიდად უწყობს ხელს მეჩაიე რაიონების, კოლმეურნეობებსა, სამეთოთა მეურნეობებსა, ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში ბრაკალი რაიონი დაწინაურდა. მოწინავეთა რიგებშია მახარაძის რაიონი. მახარაძელებმა წარმატებით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური დავალება და ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს 2.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 1 სექტემბრისათვის გეგმის გადამეტებით მთ მოკრეფეს 1.138,3 ტონა ჩაი. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება გეგმის გადაჭარბებით მოკრეფონ 1.200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ზუგდიდელები ენერგიულად ებრძვიან ამ ვალდებულების გასანადღებლად. ვალდებულების ანგარიშში მათ უკვე მოკრეფეს 350 ტონაზე მეტი ჩაი. ლანჩხუთელი მეჩაიეები სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით მისცემენ 800 ტონა ჩაის ფოთოლს. ბათუმის რაიონის მეჩაიეებს გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვთ 200 ტონა ჩაი, ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 650 ტონა. გეგეჭკორის რაიონში ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრიფა 270 ტონაზე მეტი, ვალდებულება კი 700 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს. ჩოხატაურის რაიონის მეჩაიეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრეს გეგმის გადაჭარბებით მოკრიფონ და ჩაის ფაბრიკას ჩაბარონ 500 ტონა ჩაი, უკვე მოკრიფეს 300 ტონამდე. ჩაის კრეფა-დამზადების მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე ტყიბულის, წყალტუბოს, სამტრედიის, ქუთაისის რაიონები, აჭარისა და ოფხაზეთის ასსრ რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობები.

ჩაის კრეფის წესების ზუსტად დაცვის შედეგად გაუმჯობესდა მოკრეფილი ჩაის ხარისხი. ძირითადად იკრიფება პირველი ხარისხის ფოთოლი, რაც ჩვენი კოლმეურნე გლეხობის დიდი მოგებაა. მაგალითად, გუდაუთის რაიონში 1 სექტემბრისათვის მოკრეფილი ფოთლის მთელი რაოდენობიდან პირველი ხარისხისაა 95,6 პროცენტი, ტყიბულის რაიონში — 94,1 პროცენტი, ლანჩხუთის რაიონში — 93,4 პროცენტი, ბახმაროის რაიონში — 92,2 პროცენტი, ბათუმის რაიონში — 92 პროცენტი.

ჩაისათვის ბრძოლაში გამოიზარდა უხვი მოსავლის ოსტატთა შესანიშნავი არმია. მის პირველ რიგებში არიან სოციალისტური შრომის მგრეკები, ორდენოსნები და სხვა წარჩინებული ადამიანები. ისინი არა მარტო დაეუფლნენ ჩაის კრეფისა და მოყვანის აგროტექნიკას, არამედ ბევრმა მათგანმა ახალი წესების შემოღებით გაამდიდრა ჩაის პლანტაციების მოვლის აგროტექნიკა. მთელ საბჭოთა კავშირში გამოქმეული სტალინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის მერგოლური ქსენია სარსანია. მან 1 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოსავლიანობა გაადიდა 25 ათას კილოგრამამდე. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის დარეჯან ტაკიძის ოგოლ ყოველწლიურად ზედიზედ 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16-20 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰყავს. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ყოლხიდის“ ბრიგადიერმა ლავრენტი ჯოჯუამ 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7.307 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოიყვანა. მახარაძის რაიონის ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლუდმილა ზურეიძემ 0,5 ჰექტარზე 7.710 კილოგრამი ჩაი მოარგინა. ამავე რაიონის სოფელ განსაღების კოლმეურნეობის წევრმა ზინა ბაჯელიძემ წელს იკისრა ძირეული 0,5 ჰექტარზე მოეყვანა 9.000 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი. პირობის ის წარმატებით ასრულებს — ლდემდე მოკრეფილი აქვს 6.000 კილოგრამი. ლანჩხუთელ კოლმეურნეს სოციალისტური შრომის გმირს შეუძია ხანიერი ეკეთ ყალდებულება მოკრიფოს 8.000 კილოგრამი ჩაი, ვალდებულების ანგარიშში მოკრეფილი აქვს 7.500 კილოგრამი. გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი კ. ბულსაკერია ხელმძღვანელობს, სახელმწიფოს უკვე ჩაბარა 66.625 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მშვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ათასისა. ბრიგადამ იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 20 ტონა ჩაი. ამ ბრიგადის წევრმა სოციალისტური შრომის გმირმა ლ. ბულსაკერიამ 0,5 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 9.603 კილოგრამი. ის იირძვის ამისათვის, რომ ძირეული ნაკვეთზე მოკრიფოს სულ 12.000 კილოგრამამდე ჩაი. ბათუმის რაიონის სოფელ ქვედა სამების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სოციალისტური შრომის გმირებმა მთი გოგიტიძემ, ბესიკო ნოღიაღელმა, მურგალოვმა მერი მეაკაბაძემ, სოფელ კვირიკეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლოვრა სოციალისტური შრომის გმირმა სურენ ჩელეგაძემ, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ სოციალისტურმა შრომის გმირმა ვ. ბრუნჯაძემ **ნახევარ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში უკვე მოკრიფეს 6.000-7.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ვალდებულება იკისრეს სეზონის ბოლოდან ეიდეე მოკრიფონ 3.000-4.000 კილოგრამი თვითეულმა.**

ჰექტარზე 8-9 ათასკილოგრამ და მეტ ჩაის ღებვა ბევრი რგოლი და ცალკეული კოლმეურეობა. უხვი მოსავლის ოსტატთა შესანიშნავი მუშაობის მნიშვნელობა არ შეიძლება მხოლოდ იმით განისაზღვროს, რომ ისინი ხელს უწყობენ ამკაცად ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის უშუალო გადიდებას. **უხვი მოსავლის ოსტატთა მიღწევები გზას გვიკაფავენ იმისაკენ, რომ ჩაის პლანტაციების მთელ ფართობზე უახლოეს მომავალში ფოთლის 4-5-ჯერ მეტი მოსავალი მოვიკუანთო, ვიდრე ახლა ვიღებთ.**

ჩაის კრეფის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებას მნიშვნელობა აქვს როგორც სახელმწიფოსათვის, ისე მეჩაიეებისათვის. მაგალითად, წელს მეჩაიეებმა 1 სექტემბრისათვის ჩაბარებული ჩაის ფოთოლში მიიღეს 247 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის. ამასთანავე მეჩაიეები გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ღებენ რამდენიმე მილიონ მანეთს პრემია-დანამატს სახით.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდ სტალინს პირობა მისცეს წელს მოკრიფონ და გეგმის გადამეტებით მრეწველობას ჩაუბარონ 12.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს დიდი ვალდებულებაა. მისი შესრულებისათვის **აუცილებელია მიღებული გამოცდილების საფუძველზე კვლავ შეუპოვრად ვებრძოლოთ მთელი ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ აღებისათვის.** არ უნდა შეეპალოთ ჩაის ფოთლის კრეფა. მოწმენაკვე კოლმეურნეობების, სამეთოთა მეურნეობებში, ბრიგადებში, რგოლებისა და კოლმეურნეების გამოცდილება ჩაის კრეფისა და პლანტაციების მოვლა-დამუშავების დარგში ყველას კეთილსანდოდ უნდა გავხადოთ.

ამხანაგ სტალინის წინაშე მეჩაიეთა მიერ ნაკისრი **ვალდებულების სასახელოდ შესრულება სუბტროპიკული რაიონის თვითეული შშრომელის ღირსებისა და სახელის საქმეა. მთელი მასსაბრივ-პოლიტიკური მუშაობა ახლა სუბტროპიკულ რაიონებში უნდა დაეკვეთმდებაროს მთავარ ამოცანას—დიდი ბელადის წინაშე ნაკისრი ვალდებულების სასახელოდ შესრულებას.**

საქართველოს ბოლშევიკები და ყველა შშრომელნი, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი პაჯელს-ძე ბერიას მიერ სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, გაამრავლებენ ძალისეებს ჩაის მეურნეობის ფართტენი და მთელი ძალით ებრძოლებენ ამისათვის, რომ წარმატებით გადაჭრან პარტიის, თანამრბოლის, დიდი სტალინის მიერ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში უზრუნველყონ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილება საკუთარი ჩაით.

დიდ სტალინს

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, რომ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, რომლებიც ასრულებდნენ თქვენს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის, სოციალისტური ინოვომეძმედების კულტურის ამაღლების, საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწყსოანი გეგმის შესრულების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ყველა დარგის ყოველმხრივ განვითარებისა და კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში, წელს ახალ წარმატებებს მიაღწიეს.

პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩათვლელად) შესრულებულია მთავრობის მიერ დაწესებულ ვადამდე და უფრო ადრე, ვიდრე 1949 წელს. სასურსათო კულტურების დამზადების გეგმა შესრულებულია 102,7 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა 74 მილიონ 141 ათასი ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე შარშან. მთელი ჩაბარებული პური მაღალი ხარისხისაა.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ებმა მოშაობისათვის ჩაბარებული ანგარიშების მიხედვით.

საკოლმეურნეო ფერმებში არსებული პირუტყვის სულადობა შეადგენს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა —ნეოლური გეგმის 102,3 პროცენტში, ღორისა—106,1 პროცენტში, ცხვრისა—118,1 პროცენტში, ცხენისა—101,7 პროცენტში. ყველა სახის პირუტყვის სულადობის ბრივ რეპუბლიკის კოლმეურეობებმა უკვე ბაჯარეს ობამდელ დონეს: მსხვილფეხა პირუტყვისა — 47 პროცენტით, ღორისა — 40 პროცენტით, ცხვრისა —21 პროცენტით.

წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა. მინდორსაცავი ზოლების გაშენების წლიური გეგმა შესრულებულია 123 პროცენტით; დარგვა განხორციელდა მაღალხარისხოვან და დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, ამხანაგო სტალინ, რომ უკრაინის სსრ ლვოვის, ტერნოპოლის, სტანისლავის, დროგობიჩის, როვნოს, ვოლინის, იზპაილის, ჩერნოვეცისა და იმიერკარპატის ოლქების ჯლუნები, გამოცდილებით დარწმუნდნენ რა სტალინური საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობაში, გაერთიანდნენ კოლმეურნეობებში და უკვე წელს მთელი საბჭოთა კავშირის კოლმეურნე ჯლუნობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში, სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების შესრულებაში და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს მატერიალური კეთილდღეობა.

საბჭოთა უკრაინის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ამკამად მუშაობენ იმისათვის, რომ შემმნენ ამ ბრძოლაში 1951 წელს უხვი მოსავლის მიღებისა და ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის საერთო მოსავლის

წალენჯიხის ლ. ჰ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 200 ტონა ჩაის ფოთოლი

წალენჯიხის ლ. ჰ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 28 აგვისტოსათვის 100,5 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მეურნეობის დირექტორი ამხ. **შერონაია,** პარტიეფოროს მდივანი ამხ. **თვალთვალაძე,** მთავარი აგრონომი ამხ. **ყვარაცხელია** და მეშაბა კომუტტეტის თავმჯდომარე ამხ **სონგულია** იტყობინებენან, რომ მეურნეობის კოლეტქივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სამგრელიის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 10.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი

სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა 30 აგვისტოსთვის 100,6 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაკომის მდივანი ამხ. **ნინშნიანიძე** და შშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **სახარულიძე** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 10.000 კილოგრამამ აბრეშუმის პარკი.

სოციალისტური შრომის გმირები

ქ. ბ. ლარაია

ბახმაროის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარზე 6.361 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

შ. ხ. ციხლაძე

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,5 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ქ. ბ. ფიფილაძე

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

კავშირგაბმულობის სამინისტროს კიროვის საოლქო სამმართველოს მუშაკთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის ზაჩეპილოვის რაიონის კოლმეურნეობების „ზა ვლასტ სოვეტოვ" და „კრასნოე ზნამიას" წევრებმა:

საკავშირო კ. პ. (ბ) კლიმოვის რაიკომმა და ბრიანსკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა;

ტამბოვის ოლქის სოსნოვკის რაიონის კოლმეურნეობა „პობედას" წევრებმა;

სარატოვის ოლქის დუხოვნიცის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

პინსკის ოლქის ივანოვის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვგოროდის ოლქის კრესტეცკის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

შუა აზიის რკინიგზების ოლქის სამმართველოს ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

აზერბაიჯანის სსრ კუსარის რაიონის კაშენის სახელობის ხალიჩების მქსოველთა არტელის მუშაკთა კოლექტივმა;

არხანგელსკის ოლქის პინეგის რაიონის სამომხმარებლო კავშირის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ კარუმ-ისმაილის რაიონის სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

ამურის ოლქის კუიბიშევის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ ვაჭრობის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

ბრესტის საორთქლმავლო დეპოს მუშაკთა კოლექტივმა;

ქ. ტაგანროგის შემნახველი სალაროების მუშაკთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის ბელოვის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ ვპერიოდ" წევრებმა;

კალუგის ოლქის მოსალსკის რაიონის კოლმეურნეობა „პრობუჟდენიე" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის ზნამენკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ ილიჩა" წევრებმა;

საქართველოს სსრ მაიაკოვსკის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

აზერბაიჯანის სსრ ზანგელანის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ოდესის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო სამმართველოს თანამშრომელთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ნოვოსიბირსკის ოლქის კარასუკის რაიკომმა;

ხარკოვის ოლქის სტარო-სალტოვის რაიონის მოლოდოვსკის სასოფლო საბჭოს მუშაკთა კოლექტივმა;

ამიერკარპატის ოლქის უჟგოროდის ოკრუგის საბჭოთა არმიის 30 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ლოზოვაიას რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ჟიტომირის ოლქის სლოვეჩანსკის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ასტრახანის ოლქის ნარიმანოვის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ალტაის მხარის ეგორიევსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომინტერნის" წევრებმა;

კუიბიშევის ოლქის ალექსანდროვსკის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტავროპოლის მხარის ბუდიონოვკის სარეწაო არტელ „პიშჩეპრომტეხნიკის" მუშაკთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ილოვატსკის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრას" წევრებმა;

ხანტი-მანსიისკის ნაციონალური ოკრუგის მიქოიანის რაიონის პერეგრებნის საავადმყოფოს სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

კემეროვის ოლქის კუზნეცოვის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

ბობრუისკის ოლქის პარიჩის რაიონის კოლმეურნეობა „კოლოსის" წევრებმა;

ბობრუისკის ოლქის პარიჩის რაიონის კოლმეურნეობა „პროლეტარის" წევრებმა;

ვორონეჟის კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის საოლქო განყოფილების თანამშრომლებმა;

კალუგის ოლქის კოზელსკის რაიონის კოლმეურნეობა „სვეტლი პუტის" წევრებმა;

მინსკის ოლქის ლოგოის რაიონის დამამზადებელ ორგანიზაციათა მუშაკებმა;

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს ლითონგამსაღებელი მთავარი სამმართველოს ჩრდილოეთ კავკასიის კანტორის მუშაკთა კოლექტივმა;

ტამბოვის ოლქის ლისოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „დრუჟბას" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის პოდტელკოვის რაიონის გლუხოვის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ხარკოვის მე-9 პოლიკლინიკის სამედიცინო მუშაკებმა;

პენზის ოლქის ნევერკინის რაიონის კოლმეურნეობა „კოლექტივნი ტრუდის" წევრებმა;

კურსკის ოლქის ბორისოვის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" წევრებმა;

არხანგელსკის ოლქის უსტიანის რაიონის კოლმეურნეობა „ბორბას" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის უმეტის რაიონის კოლმეურნეობა „პრობუჟდენიეს" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის ნიჟნე-ჩირსკაიას რაიონის ზიმოვნიკის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ლენინგრადის კინოთეატრ „როდინას" მუშაკთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ოლხოვკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრის" წევრებმა;

როსტოვის ოლქის ორლოვსკაიას რაიონის ორლოვსკაიას შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

პენზის ოლქის ვადინსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოლოგდის ოლქის სტატისტიკური სამმართველოს მუშაკთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის ქ. პუგაჩოვის სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კურსკის ოლქის მიქოიანის რაიკომმა;

„გლავლესსბიტის" ბარნაულის გამსაღებელი ბაზის მუშა-მოსამსახურეებმა;

ქ. ბარნაულის ვაჟთა № 25 საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

კიროვის ოლქის ურჟუმის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია სმიჩკას" წევრებმა;

სარატოვის ოლქის ერშოვის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ვორონეჟის ოლქის სტალინის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. სევასტოპოლის მეორე პოლიკლინიკის, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

ბრესტის სამომხმარებლო კოოპერაციის საოლქო კავშირის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ანდრეევის რაიონის კოლმეურნეობა „კომსომოლის" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის პოდტელკოვის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრის" წევრებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ჩულიმის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კოლექტივმა;

ქ. ბაქოს № 937 სახლმმართველობის დიასახლისებმა;

როსტოვის ოლქის მილეროვოს გაზეთ „ბოლშევისტსკი პუტის" რედაქციის მუშაკთა კოლექტივმა;

ყაზახეთის სსრ აკმოლინსკის ოლქის მაკინის საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

ტოპჩიხინის წისქვილების სამმართველოს წისქვილების მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

„გასტრონომის" როსტოვის საოლქო კანტორის მუშაკთა კოლექტივმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ბულაევის რაიკომმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა, ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქი;

ვოლოგდის რკინიგზელთა კულტურის სახლის მუშაკთა კოლექტივმა და აქტივისტებმა;

სტალინის სახელობის ბაქოს ნავთგადამმუშავებელი ქარხნის № 12 საამქროს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტრესტ „ბელსელსტროის" ქ. ბრესტის № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ანდრეევის რაიონის პოლიტგანყოფილების სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. ტაგანროგის სვერდლოვის ქუჩის № 77 სახლის მცხოვრებლებმა.

(გაგრძელება იქნება)

საბჭოთა კავშირში

სომხეთის სსრ. სანატორიუმ „არზნის" მთავარი კორპუსი.
ფოტო ი. რუბენჩიკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ე. მ. კუნგურცევის ბიუსტი

იჟევსკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ ზეიმით გაიხსნა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავის, გვარდიის მაიორ ე. მ. კუნგურცევის ბრინჯაოს ბიუსტი.

ქალაქის სკვერში, სადაც დადგმულია ბიუსტი, მასობრივი მიტინგი გაიმართა. იჟევსკელები მხურვალედ მიესალმნენ თავის წარჩინებულ თანამემამულეს, რომელიც სამშობლო ქალაქში ჩამოვიდა და ბიუსტის გახსნას დაესწრო.

თათბირი რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის საკითხზე

1 სექტემბერს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაიხურა რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი, რომელმაც სამ დღეს გასტანა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რსფსრ, უკრაინის, საქართველოს, სომხეთისა და მოლდავეთის სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სპეციალისტებმა.

თათბირმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიული გადაწყვეტილების წარმატებით შესრულებას. (საკდესი).

იტალიის კოოპერატივების დელეგაცია სსრ კავშირში

იტალიის კოოპერატივების ეროვნული ლიგის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება, ეცნობა საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას.

მოსკოვში დელეგაციის წევრებს ცენტროსოიუზის ხელმძღვანელებთან მთელი რიგი საუბრები ჰქონდათ სსრ კავშირში კოოპერაციის მუშაობის ორგანიზაციული სტრუქტურისა და დაგეგმვის საკითხებზე, ცენტროსოიუზის აპარატის საქმიანობაზე და სხვ.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს მოსკოვის ოლქისა და კრასნოდარის მხარის სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათა და რაიონული სამომხმარებლო კავშირების მთელი რიგი მაღაზიები და საწარმოები.

ამჟამად იტალიის კოოპერატივების ეროვნული ლიგის დელეგაცია ეცნობა სტალინგრადის ოლქის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას. (საკდესი).

სოფლის პროპაგანდისტების მომზადება

1 სექტემბერს დაიწყო მეცადინეობა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტთან არსებულ სოფლის პროპაგანდისტთა ორკვირიეულ კურსებზე. სასწავლო პროგრამა გაანგარიშებულია 88 საათისათვის.

ლექციების საკითხავად და სემინარული მეცადინეობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოწვეული არიან დედაქალაქის საუკეთესო პროპაგანდისტები. კურსების მსმენელები დაათვალიერებენ ვ. ი. ლენინის მუზეუმს და დედაქალაქის სხვა მუზეუმებს, გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს.

მთავრდება დაკომპლექტება პროპაგანდისტთა ორკვირიეული კურსებისა, რომლებიც იქმნება საკავშირო კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მოსკოვის ოლქის 47 რაიონში.

სულ პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ქალაქის და სოფლის პროპაგანდისტთა ორკვირიეულ კურსებზე მომზადდება მოსკოვის ოლქის 4,5 ათასზე მეტი პროპაგანდისტი. (საკდესი).

ფერადი კინოფილმების პირების გადაღება

ლენინგრადი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ლენინგრადის კინოფილმების პირების გადამღებ ფაბრიკაში დამთავრდა კინოფილმების მასობრივად ბეჭდვის საამქროს გადაკეთება. აქ შეიქმნა ფერადი კინოფილმების პირების გამოშვების ახალი წარმოება. დადგმულია ჩვენს ქვეყანაში დამზადებული უახლესი პირგადასაღები აპარატები.

ამჟამად ფაბრიკამ გამოუშვა ფერადი კინოფილმების პირველი პირები. ეს არის მოკლემეტრაჟიანი კინოსურათები — „არტეკი", „ლენინგრადის ჯანმრთელობის კერა", „მხატვარი ფედოტოვი", მულტიპლიკაციური ფილმები — „ბატები-გედები", „გაზაფხულის ზღაპარი".

პარტიული ცხოვრება

აგიტაცია მასალების ეკონომიისათვის

— რას ნიშნავს მასალების კომპლექსური ეკონომია?

შეეკითხა მორიგი საუბრის დამთავრების შემდეგ აგიტატორ შალვა მიქავას სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ახალგაზრდა მუშა ქენია სირია. ეს შეკითხვა საუბრის თემას არ ეხებოდა, მაგრამ აგიტატორი მას უპასუხოდ ხომ ვერ დატოვებდა, მით უმეტეს, რომ ამ კითხვაზე პასუხი სხვა ახალგაზრდა მუშებსაც აინტერესებდათ.

კომკავშირელ ქენია სირიას გაზეთში ხშირად წაუკითხავს მასალები ლიდია კორაბელნიკოვას მუშაობის შესახებ, მაგრამ მას საკითხის უფრო ღრმა გაცნობა სურდა. აგიტატორმა მიქავამ მოკლედ განმარტა, თუ რას ნიშნავს კომპლექსური ეკონომია. მაგრამ ამ განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა ვერც ახალგაზრდა მუშები და ვერც თვით აგიტატორი. საჭირო იყო ამ საკითხზე სპეციალური საუბრის მომზადება.

მეორე დღეს აგიტკოლექტივის სემინარზე, რომელსაც კომბინატის ყველა 35 აგიტატორი დაესწრო, ამომწურავად იქნა განმარტებული ლიდია კორაბელნიკოვას მეთოდით მუშაობის „საიდუმლოება". ამ სემინარში მონაწილეობა მიიღეს კომბინატის დირექტორმა ტ. შარიამ, მთავარმა ინჟინერმა მ. რაბინოვიჩმა, საწარმოო განყოფილების უფროსმა ამხ. ა. ბუნორიანმა და სხვა სპეციალისტებმა.

აგიტკოლექტივის სემინარმა აგიტატორ შ. მიქავას ნათელი წარმოდგენა მისცა მასალების კომპლექსური ეკონომიის საკითხზე. მორიგი საუბრის დროს მან ფეხსაცმლის ზედაპირის გამომჭრელებს არა მარტო თეორიულად განუმარტა ლიდია კორაბელნიკოვას მეთოდით მუშაობის ხერხები, არამედ პრაქტიკულადაც აჩვენა.

ეს იყო რამდენიმე თვის წინათ. მაშინ სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში ის-ის იყო ფეხს იდგამდა მოძრაობა კომპლექსური ეკონომიისათვის. პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს, დარაზმა საამქროთა პარტორგანიზატორები, აგიტატორები, ჯგუფპროფორგები და სხვ. აქტივისტები. პარტორგანიზაციამ თავიდანვე გაითვალისწინა ცალკეულ საამქროთა მუშაობის თავისებურებანი და სპეციფიკური პირობები. მაგალითად, დაწებების საამქროს მუშებს არ მოეთხოვებათ ის, რაც ზედაპირის ან საძირის გამომჭრელ საამქროს მუშებს. გამომჭრელები იძლევიან საზედაპირე და საძირე ტყავის ეკონომიას, სხვა საამქროების მუშები კი სხვა დამხმარე მასალების ეკონომიას.

საძირის გამომჭრელ საამქროში აგიტატორად კომუნისტი ქ. ვორონინი მუშაობს. იგი არა მარტო საუბრებით, არამედ პირადი მაგალითითაც რაზმავს მუშებს მასალების ეკონომიისათვის. დაიწყო რა კორაბელნიკოვას მეთოდით მუშაობა, ამხ. ვორონინმა შვიდ თვეში 2.700 დეციმეტრი საძირე ტყავი დაზოგა. კომუნისტ აგიტატორს ვორონინს ამასთან არ შეეძლო მოეთმინა, რომ მის გვერდით მომუშავე ახალგაზრდა მუშა ა. თოლორდავა უკანასკნელ ხანს ვერ ასრულებდა საწარმოო გეგმას. აგიტატორი დაეხმარა თოლორდავას და მალე ამ უკანასკნელმა თავი დააღწია ჩამორჩენას. ახლა კი ამხ. თოლორდავა არა მარტო გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას, არამედ საძირე ტყავსაც მნიშვნელოვანი რაოდენობით ზოგავს.

სარანტე საამქროში 88 მუშა მუშაობს. აქ საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა 5 აგიტატორი და 3 მესაუბრე-წამკითხველი. აგიტატორია საამქროს უფროსი ინჟინერი ამხ. ნ. კონსტანტინოვი. მისი საუბრები ყოველთვის ცოცხალ ფაქტებზეა აგებული. მან კარგად იცის, როდის რაზე გაამახვილოს ყურადღება. ამხ. კონსტანტინოვი არ ივიწყებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინო აგიტაციას. საამქრო გაფორმებულია პლაკატებით, ლოზუნგებით: „იმუშავე ისე, როგორც მუშაობს ცნობილი საბჭოთა ქალი ლიდია კორაბელნიკოვა!", „ამხანაგო! ყოველი დღის ბოლოს შეაჯამე, რამდენი ეკონომია მიეცი სამშობლოს!" — ეს ლოზუნგები გულში სწვდება მუშებს.

ზედაპირის გამომჭრელ-დამამზადებელ საამქროში სისტემატურად გამოდის ფურცლები „ელვა". ეს ფურცლები მკითხველებს მოუთხრობენ, რომელმა მუშამ რა ეკონომია მისცა სახელმწიფოს. ერთ-ერთ ფურცელში ვკითხულობთ: „გამომჭრელმა ლიდია კალაჩევამ ივლისში 537 დეციმეტრი საზედაპირე ტყავის ეკონომია გასწია. დაზოგილი ნედლეულით 50 წყვილი ფეხსაცმლის საპირეს დამზადება შეიძლება".

კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მიერ გაშლილმა საიგიტაციო-მასობრივმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო მასალებისა და ნედლეულის ეკონომიის საქმეში. მიმდინარე წლის გასულ 7 თვეში კომბინატში გაწეულ იქნა 29.740 დეციმეტრი საზედაპირე ტყავის, 11.402 დეციმეტრი საძირე ტყავის, 15.431 დეციმეტრი საძირე რეზინის და 39.860 დეციმეტრი ქსოვილის ეკონომია.

პარტიულ კრებებზე, პარტბიუროს სხდომებზე სისტემატურად ხდება საამქროებში საიგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოწყობის საკითხების განხილვა. მაგალითად, 11 ივლისს პარტბიუროს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საამქროთა უფროსები, პარტჯგუფორგები და პროფჯგუფორგები, განხილულ იქნა კლუბსა და საამქროებში თვალსაჩინო აგიტაციის მდგომარეობის საკითხი. სხდომაზე გააკრიტიკეს დაწებების საამქროს უფროსი ი. კაჩანოვსკაია და პარტჯგუფორგი ა. ცუხნიკასი, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში შეასუსტეს აგიტმასობრივი მუშაობა, რამაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა მასალების ეკონომიის საქმეზე. ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. ახლა ამ საამქროში მდგომარეობა სწორდება. 10 აგვისტოს პარტორგანიზაციის ღია კრებაზე განხილულ იქნა მასალების ეკონომიისათვის აგიტატორების მუშაობის საკითხი. კრებაზე აღინიშნა, რომ მექანიკური საამქროს აგიტატორმა, კომუნისტმა ნ. ტარასოვმა მეტად შეასუსტა საიგიტაციო მუშაობა. პარტიულმა კრებამ გააფრთხილა ამხ. ტარასოვი და დასახა სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც ფართოდ იქნა განხილული საამქროთა პარტ-კომკავშირული ჯგუფების კრებებზე.

სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პარტიული ორგანიზაცია უფრო მეტი მონდომებით იბრძოლებს იმისათვის, რომ კორაბელნიკოვას მეთოდით არა მარტო ერთეული სტახანოველები, არამედ მთელი საწარმო მუშაობდეს.

შ. ჩიქოვანი
სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანი

კინოს მუშაკთა კეთილშობილური მოვალეობა

კინო ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მასობრივი ხელოვნებაა. ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ **„კინო საბჭოთა ხელისუფლების ხელში უდიდეს, ფასდაუდებელ ძალას წარმოადგენს. კინოს მოეპოვება მასებზე სულიერი ზეგავლენის განსაკუთრებული შესაძლებლობანი, რითაც ეხმარება მუშათა კლასსა და მის პარტიას აღზარდონ მშრომელნი სოციალიზმის სულისკვეთებით, დარაზმონ მასები სოციალიზმისათვის საბრძოლველად, აამაღლონ მათი კულტურა და პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობა".**

საბჭოთა ფილმებს მასებში შეაქვთ ლენინ-სტალინის დიადი იდეების სინათლე, მოგვითხრობენ საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეებზე, სიმართლით აშუქებენ კომუნიზმის მშენებელთა კეთილშობილურ თვისებებს. ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ ისინი ეხმარებიან მთელი მსოფლიოს მშრომელთ შეიტყონ სიმართლე სოციალიზმის ქვეყნის შესახებ, რაზმავენ მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა ძალებს, სულიერად აიარაღებენ მათ ომის იმპერიალისტი გამჩაღებლების წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პარტიის მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის მეოხებით, ამხანაგ სტალინის ბრძნულ წარმმართველ მითითებათა მეოხებით საბჭოთა კინემატოგრაფიამ შესანიშნავ შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწია, მძლავრი ძალა გახდა ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ოთხი წლის წინათ — 1946 წლის 4 სექტემბერს მიღებულმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ კინოფილმ „დიადი ცხოვრების" შესახებ განსაზღვრა საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების გზები. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოააშკარავა კინოფილმ „დიადი ცხოვრების" მანკი და ნაკლოვანებანი და აღნიშნა რომ ასეთი ყალბი, მცდარი ფილმების გამოშვების მთავარი მიზეზია ის, რომ სცენარისტები და რეჟისორები ვერ იცნობენ საგანს, ვერ იცნობენ ცხოვრებას, იმ ახალს, მოწინავეს, რაც ამ ცხოვრებაში წარმოიშვება.

დადგენილებაში ძლიერად იყო ხაზგასმული, რომ ის **მხატვრები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ და ფუქსავატურად ეკიდებიან თავიანთ საქმეს, ადვილად შეიძლება აღმოჩნდნენ მოწინავე საბჭოთა ხელოვნებიდან გარიყულნი და ტირაჟში გავიდნენ,ვინაიდან საბჭოთა მაყურებელი გაიზარდა, მისი კულტურული მოთხოვნილებანი და საჭიროებანი გადიდდნენ, ხოლო პარტია და სახელმწიფო კვლავაც აღუზრდიან ხალხს კარგ გემოვნებას და ხელოვნების ნაწარმოებებისადმი მაღალ მოთხოვნილებას.**

ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის მითითებებით, ჩვენი კინოს მოღვაწეები აღწევდნენ გამოშვებული ფილმების იდეურ-პოლიტიკური შინაარსის გაღრმავებას, მხატვრული ოსტატობის ამაღლებას. განამტკიცებენ და აფართოებენ რა თავიანთ კავშირს ცხოვრებასთან, ყურადღებით სწავლობენ რა ჩვენს სინამდვილეს, იმ ახალს, მოწინავეს, რაც მასში იბადება და ვითარდება, კინოს მუშაკებმა სერიოზულ შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწიეს.

მაყურებელთა სიყვარული და აღიარება დაიმსახურეს სტალინური პრემიებით დაჯილდოებულმა, ჩანაფიქრითა და შესრულებით მნიშვნელოვანმა ფილმებმა, როგორიცაა — „ახალგაზრდა გვარდია", „თქმულება ციმბირის მიწაზე", „შეხვედრა ელბაზე", „სტალინგრადის ბრძოლა", „სოფლის მასწავლებელი", „ღირსების სამსჯავრო", „რუსეთის საკითხი" და ბევრი სხვა. ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე გამოშვებულ იქნა მონუმენტური კინოეპოპეა „ბერლინის დაცემა" — შესანიშნავი ფილმი საბჭოთა ხალხის მსოფლიოისტორიულ გმირობაზე, მის დიდ ბელადზე. ეს ფილმი ახალ გზებს სახავს ჩვენი კინოხელოვნების განვითარებაში, იგი მთელი საბჭოთა კულტურის გამარჯვებას წარმოადგენს.

ყველა ეს ნაწარმოები განსხვავდება ერთმანეთისაგან ჟანრითა და მხატვრული ოსტატობის ხერხებით, მაგრამ მათ უაღრესად ანათესავებს ცხოვრების სიმართლით ასახვა, განზოგადების სიფართოვე, თანამედროვეობის საარსებო პრობლემების დაყენება.

საბჭოთა კინემატოგრაფიის ახალ დიდ ნაწარმოებებზე მუშაობაში მაღალი ოსტატობა გამოიჩინა ჩვენი კინოხელოვნების ბევრმა მოღვაწემ, კერძოდ ისეთმა გამოჩენილმა რეჟისორებმა, როგორიც არიან მ. ჭიაურელი, ი. პირიევი, ს. გერასიმოვი, ვ. პუდოვკინი, გ. ალექსანდროვი, ა. დოვჟენკო, მ. რომი, ვ. პეტროვი და სხვები. ჩვენი შესანიშნავი თანამედროვეების სახეთა მთელი გალერეა შექმნეს ნიჭიერმა საბჭოთა მსახიობებმა. წარჩინებული მეფოლადე და თავმდაბალი სოფლის მასწავლებელი ქალი, მამაცი საბჭოთა მფრინავი და სახელგანთქმული მეცნიერი-პატრიოტი, ყუბანელი კოლმეურნეები და კრასნოდონის ნორჩი გმირები, ეკრანზე სიმართლით აღბეჭდილნი, ჩვენი მეგობრები გახდნენ, მრავალი წლით დაგვამახსოვრდნენ. ჩვენი სამშობლოს სახელოვან შვილთა სახეები და აღმაფრთოვანებელი საქმეები ხელს უწყობენ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებათა განვითარებას.

საბჭოთა კინემატოგრაფიას — ყველაზე მოწინავესა და ყველაზე იდეურს — მიაპყრობენ თვალს მთელი მსოფლიოს პროგრესული კინომოღვაწენი. საბჭოთა კინოხელოვნების კეთილმყოფელი გავლენით იზრდება და მტკიცდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კინემატოგრაფია. პროგრესული რეჟისორები და სცენარისტები კაპიტალისტურ ქვეყნებში არ უშინდებიან სასტიკ დევნას, შევიწროებასა და საპყრობილეებს და მრისხანე პროტესტს აცხადებენ ომის მქადაგებელი ფილმების წინააღმდეგ, ცდილობენ შექმნან მართალი, რეალისტური ნაწარმოებნი, რომლებიც დაუპირდაპირდებიან გახრწნილ ბურჟუაზიულ კინემატოგრაფიას.

საბჭოთა კინემატოგრაფიის შემოქმედებითი მიღწევები თვალსაჩინოა. მაგრამ საბჭოთა კინოს მოღვაწენი ვერ დასჯერდებიან იმას, რაც უკვე მოპოვებულია. კინო მილიონობით მშრომელისათვის განკუთვნილი ხელოვნებაა. აი ამიტომ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა კინოს ოსტატებს მოუწოდებენ **განუხრელად აამაღლონ საბჭოთა ფილმების იდეურ-მხატვრული დონე. შექმნან მხოლოდ საუკეთესო ფილმები — საბჭოთა კინოს მუშაკთა კეთილშობილური მოვალეობაა.**

მომავალი სურათის წარმატებას თუ წარუმატებლობას უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს სცენარი: ის ფილმის საფუძველია. მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ფილმები, როგორიცაა „ყუბანელი კაზაკები", „აკადემიკოსი ივანე პავლოვი" ან „განწირულთა შეთქმულება", შექმნილია მაღალხარისხოვანი ლიტერატურული სცენარების მიხედვით. რაც უფრო მეტი გვექნება კარგი სცენარი თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე, მით უფრო შინაარსიან და კარგ ფილმს ვნახავთ ჩვენს ეკრანზე.

არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ზოგიერთი კინოდრამატურგი ჯერ კიდევ დაუდევრად, საგნის გულმოდგინედ შეუსწავლელად მუშაობს სცენარზე, ნაკლებად ზრუნავს ნაწარმოების იდეურ-პოლიტიკური შინაარსისა და მხატვრული ღირსებისათვის, იძლევა ხშირად კომპოზიციურად გაუმართავ და ენით ღარიბ სცენარს. საბჭოთა მწერლების კავშირი და მისი კინოდრამატურგიის კომისია ჯერ კიდევ საკმაოდ დაკავშირებული არ არიან კინოს შემოქმედებითს ორგანიზაციებთან, სუსტად წარმართავენ კინოდრამატურგთა მუშაობას. სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები გაბედულად ვერ აფართოებენ კვალიფიციურ ავტორთა წრეს, რომლებიც კინოსათვის წერენ. ზოგიერთი სტუდია სცენარების მცირე რაოდენობას სჯერდება, ცდილობს თავიდან აიცილოს ზედმეტი საზრუნავი.

ახალი სცენარების, გამოსაშვებად მომზადებული ახალი სურათების მიუდგომელი, პრინციპული შეფასება თვითონ შემოქმედებით მუშაკთა შორის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, გადაჭრით ბრძოლა ხელოსნობისა და ხალტურის, საქმისადმი ქარაფშუტული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების წინააღმდეგ, მედიდურობისა და შინაურულობის წინააღმდეგ—ყოველივე ეს საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი წარმატების, მისი მუდმივი ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ჩვენი მაყურებელი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ფერადი ფილმების შექმნას. კინოხელოვნების წინაშე დაისახა ახალი უდიდესი შესაძლებლობანი, იგი გამდიდრდა ემოციური ზემოქმედების კიდევ ერთი მძლავრი საშუალებით. ფერადი ფილმი დღითიდღე სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ჩვენში, და საჭიროა განუწყვეტლივ სრულვყოთ ფერადი კინოს ტექნიკა, განვაზოგადოთ ფერადი სურათების შექმნის დარგში უკვე შეძენილი შემოქმედებითი გამოცდილება.

უკანასკნელ წლებში დოკუმენტალურ კინემატოგრაფიაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. უკვე გვაქვს ამ ჟანრის მთელი რიგი შესანიშნავი ფილმები.. ამავე დროს კინოპერიოდიკის და, კერძოდ, ჟურნალ „ნოვოსტი დნიას" მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მაყურებელთა მოთხოვნილებას. კინოჟურნალი ჯერ კიდევ სუსტად ასახავს საბჭოთა საზოგადოების მრავალფეროვან ცხოვრებას. კვლავ მცირე რაოდენობით იქმნება მეცნიერულ-პოპულარული მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ეს მნიშვნელოვანი ჟანრი უსამართლოდ დავიწყებულია, დაყენებულია მეორე პლანზე.

კინემატოგრაფიის სამინისტრომ უნდა გააძლიეროს ყურადღება შემოქმედებითი კადრების პრობლემისადმი. სავსებით გაამართლა მოლოდინი კინემატოგრაფიაში ახალი ნიჭიერი აქტიორების—უფროსი თაობისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლების დაწინაურებამ. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ კინოში მუშაობდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მსახიობები. მეტი ზრუნვაა საჭირო კვალიფიციურ რეჟისორთა კადრების მომზადებისათვის. დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა, რომ გამოჩენილი კინორეჟისორები ახალ სურათებზე მუშაობის დროს, შემოქმედებითი შრომის პროცესში, თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ ნიჭიერ ახალგაზრდებს, ეხმარებოდნენ მათ ზრდაში.

ჩვენი ხალხი გულისხმიერი, ყურადღებიანი და თანამგრძნობელი მეგობარია საბჭოთა კინემატოგრაფიისა. მას უხარია ყოველი მისი წარმატება, მაგრამ ამასთანავე მუდამ უყენებს საბჭოთა კინოს ოსტატებს ახალ, გადიდებულ მოთხოვნებს. ჩვენი მაყურებელი საუკეთესო საბჭოთა ფილმებშიც კი აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელთა დროული აღკვეთა ხელს შეუწყობს კინოხელოვნების ნაწარმოების აყვანას მხატვრული ოსტატობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე. საბჭოთა ადამიანები არ ილებენ სუსტ, ნაკლოვან ნაწარმოებს. მათ სურთ, რომ ახალი საბჭოთა ფილმი უფრო ღრმა იყოს შინაარსით, უფრო სრულყოფილი ფორმით, რომ ყველაფერი ამ ფილმში იყოს მშვენიერი — ლიტერატურული სცენარი და დამდგმელის ოსტატობა, აქტიორთა თამაში და ოპერატორთა გადაღება, მუსიკალური გაფორმება და მხატვრის მუშაობა.

საბჭოთა კინოხელოვნების კეთილშობილური მოვალეობაა პარტიისა და ხალხის მოწოდების პასუხად შექმნან სულ უფრო შესანიშნავი ნაწარმოებნი, რომლებიც კომუნიზმის დიად საქმეს ემსახურებიან.

„პრავდის" 4/IX მოწინავე

სურათზე: ექსპედიციის ხელმძღვანელი ი. მარი მოუთხრობს შეხვედრის მონაწილეებს შხელდა-უშბის მწვერვალთა ტრავერსის შესახებ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ხალხი აღფრთოვანებულ შეხვედრებს უწყობს მამაც საბჭოთა ალპინისტებს

★ ★

შხელდა-უშბის ტრავერსის მონაწილენი სტუმრად სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივთან

2 სექტემბერს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივს ესტუმრნენ უშიშარი ქართველი ალპინისტები, შხელდა-უშბის მსოფლიო მნიშვნელობის ტრავერსის მონაწილენი. ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

სამუშაოს დამთავრებისთანავე დარბაზი, სადაც შეხვედრა მოეწყო, ხალხით აივსო. დარბაზში სახელოვანი ალპინისტების — ივანე მარის, ბექნუ ხერგიანის, გოჯი ზურებიანის, ჭიჭიკო ჩართოლანის, მაქსიმე გვარლიანის და მაშველი რაზმის უფროსის ბესარიონ ხერგიანის გამოჩენას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

პრეზიდიუმის მაგიდას მამაც ალპინისტებთან ერთად უსხდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. შადური, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი თ. ქვლივიძე, ქარხნის მთავარი ინჟინერი ნ. შანიძე, საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანი გ. გეგეშიძე, სტახანოველები ა. სოხაძე, ი. ენუქიძე და სხვები.

ალპინისტებთან შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. შ. კოშაძემ.

ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით კრებამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი.

შხელდა-უშბის ტრავერსის მიმდინარეობისა და ქართველი ალპინისტების მიერ ამ ტრავერსის გამარჯვებით დამთავრების შესახებ კრებას ვრცლად მოუთხრო ტრავერსის მონაწილე ალპინისტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ი. მარმა.

— საბჭოთა ალპინისტებს უსაზღვროდ აღაფრთოვანებს ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც მათდამი იჩენენ ჩვენი პარტია და მთავრობა, პირადად დიდი სტალინი,—თქვა ამხ. ი. მარმა.—ტრავერსის მონაწილე ქართველი ალპინისტები სიტყვას გაძლევთ თქვენ, რევოლუციური სტალინური ტრადიციების შარავანდედით მოსილ ქარხნის კოლექტივს, რომ მზად ვართ ახალი საგმირო საქმეებისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

— ქართველ ალპინისტთა მამაცობით აღფრთოვანებულმა ჩვენი ქარხნის მუშებმა,—აღნიშნა შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში სტახანოველმა ხარატმა ი. ჟუმბურიძემ, — გადავწყვიტეთ გავაძლიეროთ ბრძოლა წარმოებაში ახალი წარმატებების მოპოვებისათვის, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ქარხნის მოწინავე სტახანოველებმა ი. მაჩაიძემ, კ. ცისკაძემ, ვ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

შეხვედრის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, აგრეთვე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. კ. ჩარკვიანს.

გამბედაობისა და შეუდრეკლობის ნიმუში

30 აგვისტოს თბილისის მასწავლებლის სახლის დარბაზში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა და საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის პრეზიდიუმმა მოაწყეს შეხვედრა შხელდა-უშბის მწვერვალების ტრავერსის მონაწილე სახელოვან ქართველ ალპინისტებთან.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ალ. ფარულავამ.

— მამაცმა ქართველმა ალპინისტებმა, — თქვა ამხ. ფარულავამ,—ერთხელ კიდევ ასახელეს საბჭოთა სამშობლო. ევროპისა და კავკასიის უძნელესი მწვერვალების — შხელდის ექვსკბილა ხერხემლისა და უშბის ორი მწვერვალის ტრავერსი, რაც ბუნების სტიქიონთან თავგამეტებულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მოწმობს ქართველი ალპინისტების შეუპოვრობასა და შეუდრეკლობას, გამბედაობასა და ოსტატობას. საბჭოთა ადამიანის მტკიცე ნებისყოფამ სძლია ყველა სიძნელე.

შხელდა-უშბის ტრავერსის მონაწილეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ივანე მარმა შეხვედრაზე დამსწრეთ უამბო საბჭოთა მთამსვლელების ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ. ამხ. მარმა განაცხადა:

— შხელდა-უშბის მიუვალი მწვერვალების დაძლევა დღემდე შეუძლებლად იყო მიჩნეული. მაგრამ საბჭოთა ადამიანისათვის შეუძლებელი არაფერია. გამარჯვების ღრმა რწმენით, სამშობლოსა და სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულით დავიძარით შხელდა-უშბაზე იერიშის მისატანად. მწვერვალების ტრავერსი 24 დღის განმავლობაში წარმატებით დაგვირგვინდა. ბევრი საფრთხე გამოვიარეთ თოვლ-ყინულოვან მწვერვალებთან ჭიდილში, მაგრამ უკან არ დავიხიეთ. საბჭოთა ალპინისტები გარემოსილი ვართ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით. ჩვენ ერთი წუთითაც არ დავკმაყოფილდებით მიღწეულით, ახალი სარეკორდო მიღწევებით ვასახელებთ დედა-სამშობლოს.

ტრავერსის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ: საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ა. კინწურაშვილი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სახელით—ი. ასლანიშვილი, ახალგაზრდა მთამსვლელი თ. ახმეტელი, ნორჩ ტურისტთა სახელით — პიონერი კ. პატარაია. ტრავერსის მონაწილეებისათვის მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ვ. ჟურულმა.

* * *

სახელოვან ალპინისტებს მხურვალე შეხვედრა მოუწყეს აგრეთვე ქალაქ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა და სამეცნიერო-პედაგოგიურმა პერსონალმა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი სოჭში

სოჭი, 2 სექტემბერი. („პრავდის“ კორ.). სოჭში დიდი წარმატებით მიმდინარეობს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. აქ ჩამოვიდა თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი 335 კაცის შემადგენლობით. გასტროლების რეპერტუარში, რაც 24 სექტემბრამდე გასტანს, თორმეტი საოპერო და ექვსი საბალეტო სპექტაკლია.

სპექტაკლები იმართება სოჭის საზამთრო სახელმწიფო თეატრის შენობაში. ქართველ მსახიობთა კოლექტივს მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ. სპექტაკლების დროს დარბაზი მუდამ სავსეა ხალხით.

თეატრმა აჩვენა ზ. ფალიაშვილის ოპერები „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“, ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“, რუსული კლასიკური საოპერო ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებნი — ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“ და „მაზეპა“, ბიზეს ოპერა „კარმენი“, ვერდის „ოტელო“, „ტრავიატა“ და „აიდა“; საბალეტო სპექტაკლები — დ. თორაძის „გორდა“, ა. კრეინის „ლაურენსია“, ადამის „ჟიზელი“ და სხვები.

სოჭში თეატრის ცალკეულ სპექტაკლებში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სოლისტებმა — საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. გამრეკელმა, რსფსრ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. დავიდოვამ.

სოჭში გამართული გასტროლები გადაიქცა ფალიაშვილის სახელობის თეატრის თავისებურ შემოქმედებით ანგარიშად საბჭოთა მაყურებლების ფართო წრეების წინაშე.

თბილისის ფალიაშვილის სახელობის თეატრს დიდი პროფესიული კულტურა აქვს. სოჭის საზოგადოებრიობას, საკავშირო კურორტების ჯანმრთელობის კერებში დამსვენებელთ შესაძლებლობა მიეცათ გაეცნონ თეატრის მდიდარ რეპერტუარს, ქართველ კომპოზიტორთა მუსიკალურ ქმნილებებს.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა სპექტაკლ „დაისს“. მაყურებლნი დიდი ინტერესით ესწრებიან ამ ოპერის წარმოდგენებს, აღნიშნავენ საუცხოო მუსიკას და შემსრულებელთა შესანიშნავ ოსტატობას. მაყურებელთა მხურვალე სიმპათიები მოიპოვა ქართულმა საბალეტო ხელოვნებამ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სპექტაკლი „გორდა“. მან დაანახვა მაყურებელს ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნების უმდიდრესი საგანძური და მთელი მისი მრავალფეროვნება.

მსმენელთა და მაყურებელთა განსაკუთრებით მაღალი შეფასება დაიმსახურა საქართველოს სსრ სახალხო არტისტების პ. ამირანაშვილის, ნ. ხარაძის, ვ. ჭაბუკიანისა და სხვების ოსტატობამ.

(„პრავდა“)

„ორი ბანაკი“

პრემიერა გრიბოედოვის თეატრში

ლააგუსების სადარბაზო ბინა ყვავილებითაა მორთული. სადღესასწაულო სუფრას ოჯახის წევრები შემოსხდომიან. მოხუცმა კომპოზიტორმა ლააგუსმა გაიმარჯვა, მისი სიმფონია შესანიშნავი აღმოჩნდა. ხალხი ოვაციებით შეხვდა კომპოზიტორს და მახლობლებიც ზეიმობენ. საერთო ზეიმს არღვევს ლააგუსის ერთ-ერთი ღვიძლი შვილი, ბაქტერიოლოგი იოჰანესი. იგი სრულიად მოწყვეტილა საკუთარ ოჯახს. კარგახანს უცხოეთში დაეხეტებოდა. მისთვის უცხოა ახლობლების სულისკვეთება. ლააგუსები საბჭოთა ადამიანები არიან, ახალი ცხოვრების აქტიური შემოქმედნი და მონაწილენი. გამონაკლისია იოჰანესი, იგი ბნელეთის მოციქულების — ფაშისტების ზრახვათა ამსრულებელი გამხდარა. ორი მსოფლმხედველობა შეეჯახა ერთმანეთს, ორი სამყარო, ორი ბანაკი უპირდაპირდება ურთიერთს.

ატმოსფერო დაძაბული ხდება. ორ ბანაკად გათიშული ოჯახის ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება. ოჯახმა მუწუკი უნდა მოიცილოს. სწორედ ამ ზეიმის დროს, იოჰანესს წინადადება ეძლევა დატოვოს ოჯახი. ხაფანგში მომწყვდეულ გარეწარ იოჰანესს სურს მშობლიურ გრძნობებზე ითამაშოს და უკანასკნელად მიმართავს დედას:

„შენ, შენ დედა?

ხანგრძლივი პაუზა. საშარისებური სიჩუმეა. გაისმის დედის ხმა:

— მე? მე გშობე. სიყვარულით აღგზარდე... როცა გჭირდა, მზად ვიყავი წვეთ-წვეთობით მომეცა ჩემი სისხლი. მაგრამ შენ მგლებთან წახვედი და თვით მგლად გადაიქეცი, და მე შენს სიყვარულს გულიდან ვიგლეჯ“.

სულგანაბულ მაყურებელს ეს სიტყვები გულში სწვდება. აქ ჩანს საბჭოთა დედის კეთილშობილი სახე. საბჭოთა დედა მამულს უზრდის შვილს და, თუ იგი მოღალატე აღმოჩნდა, დედობრივ გრძნობასაც კი ძლევს და გულიდან ამოიგლეჯს მას.

იოჰანესი განდევნილია.

გაისმის კომპოზიტორ ლააგუსის სიმფონიის წარმტაცი და მზნე მელოდიები. ლააგუსის პირმშოს პეტერის უკანასკნელი ფრაზა— „ჩვენ, დიდი საბჭოთა კავშირის ადამიანები, ვეძებთ საშუალებას ვიხსნათ კაცობრიობა ყოველივე ტანჯვისაგან... ჩვენი ცხოვრების და მოღვაწეობის ასპარეზი დღითი დღე ფართოვდება...“.

ფარდა ეშვება და მთელ დარბაზში ერთსულოვანი ტაში გაისმის.

ესტონელ დრამატურგ აუგუსტ იაკობსონს საბჭოთა საზოგადოებრიობა კარგად იცნობს. ჯერ კიდევ 1946 წელს მისი პიესა „ცხოვრება ციტადელში“ სტალინური პრემიით იქნა დაჯილდოებული. ასეთივე მაღალი შეფასება მიიღო და სტალინური პრემიით იქნა დაჯილდოებული პიესა „ბრძოლა ფრონტის ხაზის უქონლად“. გრიბოედოვის თეატრის მიერ სეზონის გახსნისას წარმოდგენილ ამავე ავტორის პიესას „ორ ბანაკსაც“ ასევე გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია. პიესაში მოთხრობილია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ესტონეთის ერთ-ერთი ინტელიგენტის ოჯახის ამბავი. პიესა გარეგან ეფექტებს მოკლებულია, მაგრამ გამსჭვალულია შინაგანი სითბოთი. იგი გვპყრობს ორი ბანაკის გამძაფრებული ბრძოლის მართალი ჩვენებით. სიყვარულით იმსჭვალები კულტურის ფრონტზე თავდადებით მომუშავე საბჭოთა ინტელიგენციისადმი. ეს არის ამ საყურადღებო პიესის ძირითადი ღირსება. ავტორი მრავალსიტყვაობას გაურბის, ადამიანთა შინაგანი განცდების ჩვენებით აღწევს დასახულ მიზანს. მაგრამ, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა ავტორს უფრო მეტი პუბლიცისტიკური სიმახვილე მიეცა პიესისათვის, მტრისადმი მეტი შეურიგებლობით აღეჭურვა თავისი გმირები პეტერი და იაკი (ლააგუსის ვაჟები), მეტი სისრულით მოეცა ფაშისტების მსხვერპლის მუსიკოს პაულ კაალეპის სახე.

თეატრს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ძალღონე არ დაუშურებია, რომ თანამედროვე საბჭოთა სპექტაკლი შექმნა. რეჟისორ გ. ლვინიაშვილს პიესის ყოველი დეტალი გულმოდგინედ დაუმუშავებია. თეატრალურ ეფექტებს არ გამოდევნებია და ადამიანთა შინაგანი ბუნების, მათი სულისკვეთების გამოვლინებაზე გადაუტანია მთელი სიმძიმის ცენტრი. რეჟისორის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ მტკიცე ხელით შეკრული ანსამბლი არ ირღვევა და ყველა მოქმედი პირი თავის ადგილზეა. მხატვარ ლოქტინის მიერ გემოვნებით გაფორმებულ სპექტაკლს ჩელს უწყობს კომპოზიტორ ვ. ბეიერის პიესის შესატყვისი მუსიკა.

კომპოზიტორ მიარტ ლააგუსის როლს ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. სმირანინი. მსახიობი მოხუცი კომპოზიტორის მიმზიდველ სახეს ქმნის. განსაკუთრებით კარგია მსახიობი პიონერებთან შეხვედრისას და შემოქმედებითი მუშაობის დროს, მელოდიების შეთხზვის სცენაში. უკანასკნელ სცენებში როლ საჭიროებს დახვეწას და უფრო მეტ უბრალოებას. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. სატინა საბჭოთა დედის დამაჯერებელ სახეს ქმნის. პიესის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს საბჭოთა პატრიოტი, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენელი მიარტ ლააგუსის უფროსი ვაჟი ბაქტერიოლოგი პეტერი. მსახიობს იგორ ზლობინს კარგად აქვს დამუშავებული როლი, გულწრფელად წარმოგვისახავს გმირს, მაგრამ ალაგალაგ შეუდრეკელი მებრძოლის მძაფრ სახეს აქარწყლებს სანტიმენტალური კილოთი წარმოთქმული ფრაზები. მოწინააღმდეგე ბანაკის კაციჭამია ფაშისტთა ხროვის წარმომადგენლის მკვეთრ სახეს ქმნის რესპუბლიკის სახალხო არტისტი კ. მიუფკე. ფაშისტი იოჰანესი ცდილობს თავის ბანაკს მომხრეები შესძინოს, თავის თანამოზიარედ უნდა გაიხადოს მოხუცი პოეტი ნიგულ ჰიარბი. მაგრამ ის ანგარიშში მოტყუვდა. ნიგულმა იგრძნო ვისკენ არის სიმართლე და უერთდება საბჭოთა მშრომელ ოჯახს. კარგად გადმოგვცემს იმ სულიერ ძვრებს, რაც ხდება მოხუც პოეტში, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ვიაზემსკი. ავტორმა ცოტა სიტყვიერი მასალა მისცა ფაშისტების მიერ დასახიჩრებულ ახალგაზრდა მუსიკოს პაულ კაალეპს. მიუხედავად ამისა, მსახიობმა ი. კონოპაცკიმ მეტად კოლორიტული და დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

გულწრფელად ასრულებენ თავიანთ როლებს ი. ლუბარსკი (იაკი), მ. ქებაძე (აინო), ტ. ბელოუსოვა (რიტა) და მთელი კოლექტივი.

გრიბოედოვის თეატრს ყველა შესაძლებლობა აქვს ჩვენი ქვეყნის მოწინავე თეატრების რიგებში იდგეს და თავიდან აიცდინოს ის ზიგზაგები, რითაც ხასიათდებოდა, ამ თეატრის მუშაობა წარსულ სეზონში და რაზედაც სამართლიანად მიუთითებდა თეატრს ცენტრალური პრესა. პირველი პრემიერა მოწმობს, რომ თეატრს არჩეული აქვს სწორი გზა. თეატრის მოვალეობაა არ გადაუხვიოს ამ გზას, შექმნას საუკეთესო სპექტაკლები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მასების კომუნისტური აღზრდის საქმეს.

ა. ბურთიკაშვილი

მზადება რთველისათვის

ყურძნის უხვი მოსავალი

გურჯაანელმა კოლმეურნეებმა, რომლებიც ზესტაფონელ კოლმეურნეებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, ყველაფერი გააკეთეს, რომ ყურძნის უხვი მოსავალი მიეღოთ. ყურძენი მწიფდება, კიდევ თხუთმეტიოდე დღეც და რთველი გაჩაღდება. რთველისათვის კარგად ემზადება მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი დ. დვალი). აქ 135 ჰექტარი ვენახი აქვთ. შარშან ჰექტარზე საშუალოდ 44,4 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს, გეგმა კი 35 ცენტნერს ითვალისწინებდა. მუკუზნელებმა გეგმის გადამეტებით 1.835 ცენტნერი ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს. ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა პირველ რიგებში სოციალისტური შრომის გმირი დავით მინდორაშვილი იყო. მან 3,23 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 126 ცენტნერი ყურძენი მიიღო. წელს მერგოლურ მინდორაშვილს ბევრი მეტოქე გამოუჩნდა. მერგოლურების ვასილ გეთიაშვილისა და ვასილ კრუჩენინისათვის მიჩენილი ვენახები საუკეთესოდ არის დამუშავებული. თვითეულ ვაზს მათი მზრუნველი ხელი ახნევია. ისინი ყურძნის მოსავლიანობის გეგმის 200-300 პროცენტით შესრულებას ვარაუდობენ.

მეურნეობაში რთველისათვის მზადებას 1 აგვისტოდან შეუდგნენ. წელს 15.700 ცენტნერი ყურძენი უნდა გადაამუშაონ. სარდაფები, რომლებიც 110.000 დეკალიტრ ღვინოს იტევს, შეაკეთეს და შეათეთრეს, მარნები მზად არის. წელს 25.000 დეკალიტრი ტევადობის ახალი კასრები უნდა დაამზადონ. აქედან უკვე დამზადებულია 23.000 დეკალიტრის ტევადობის კასრები.

სოფელ ურიათუბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ბ. არუთინოვი), რომელსაც 72 ჰექტარი ვენახი აქვს, შარშან ჰექტარზე საშუალოდ 19 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ურიათუბნელებს შარშან, რა თქმა უნდა, საამაყო არაფერი ჰქონდათ. წელს აქ საუკეთესოდ დაამუშავეს ვენახები. თავდადებულმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერ ყურძენს მოელიან, გეგმა კი 35 ცენტნერს ითვალისწინებს. მერგოლური ივანე დვალიშვილი ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერი ყურძნის მოსავლის მიღებას ვარაუდობს.

ურიათუბნელები რთველისათვის მზად არიან. რთველზე 130 კოლმეურნე იმუშავებს. წელს 200-ზე მეტი ახალი გოდორი მოწნეს. ორი მარანი, სადაც 100 ტონა ყურძენი უნდა დაწურონ, წესრიგზე მოიყვანეს.

შაშიანის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. გაბრიელაშვილი) შარშან საშუალოდ ჰექტარზე 79 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. უფრო მეტსაც მიიღებდნენ, რთველი რომ არ გაეჭიანურებინათ. კოლმეურნეობის გამგეობა წელს რთველისათვის მზადებას დროულად შეუდგა. კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს სახელმწიფოსათვის 1.500 ცენტნერი ყურძნის ჩაბარება ერთ კვირაში დაამთავროს.

ს. ქოჩლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მასობრივი სასპორტო მუშაობა ქარხანაში

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანასთან არსებული ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „შრომა“ ქალაქის სხვა ნებაყოფლობით საზოგადოებათა შორის მოწინავეა. შარშანდელთან შედარებით წელს იგი უფრო მძლავრი ფიზკულტურული კოლექტივი გახდა.

ქარხანაში არსებობს ფიზკულტურის საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ქარხნის დირექტორი ამხ. კ. კაკაბაძე. საამქროების მიხედვით გამოყოფილია ფიზკულტურის 12 ორგანიზატორი.

თუ შარშან სასპორტო საზოგადოება 112 წევრს აერთიანებდა, ხოლო სასპორტო სექციები—80 კაცს, ახლა საზოგადოებაში 120 წევრია, ხოლო სექციებში—91 კაცი.

ფიზკულტურის საბჭოსთან ჩამოყალიბებულია და აქტიურად მუშაობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ტანვარჯიშის, ცურვის, ჭადრაკის, ბილიარდის სასპორტო სექციები. მათში ჩაბმულია ათობით ქალიშვილი და ჭაბუკი.

ქარხნის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ფიზკულტურული კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს, მასში გაერთიანებული ახალგაზრდობა დღითიდღე იმაღლებს სპორტული ოსტატობის დონეს. მიმდინარე წლის 6 თვეში კარგი სპორტული მაჩვენებლები აქვს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდს, რომელმაც რაიონის პირველობაზე შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული კომიტეტის ჯილდო მიიღო.

წარმატება მოიპოვა აგრეთვე ფრენბურთელ ქალთა გუნდმა, რომელმაც საქალაქო პირველობის მეორე ჯგუფის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის ჯილდო მიიღო. ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ ფეხბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და სხვა სასპორტო გუნდებს.

სასპორტო საზოგადოებამ კარგად აღნიშნა ფიზკულტურელის საკავშირო დღე. ამ დღესთან დაკავშირებით მან მონაწილეობა მიიღო საფაბრიკო-საქარხნო მე-12 სპარტაკიადაში.

უნდა აღინიშნოს ქარხნის მოწინავე ფიზკულტურელების — ა. ქაჩიბაიას, ს. დანგიაშვილის, ა. კურდღელაშვილის, ნ. თეთრაძის, ზ. რიაზანცევას შრომითი წარმატებანი. ისინი ყოველდღიურ გეგმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ქარხანაში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მშთ I და II საფეხურის ნიშნოსნებისა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადება. წელს გეგმით უნდა მომზადდეს მშთ I საფეხურის 80 ნიშნოსანი, დღემდე მომზადებულია 50. გეგმით უნდა მომზადდეს მშთ II საფეხურის 20 ნიშნოსანი, მომზადებულია 22. გათვალისწინებული იყო III-თანრიგოსანი 35 სპორტსმენის მომზადება, დღემდე მომზადებულია 18.

ამ მიღწევებთან ერთად ფიზკულტურის საქარხნო საბჭოს თავის მუშაობაში აქვს სერიოზული ნაკლოვანებანიც. მან ვერ უზრუნველყო II-თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადების გეგმის შესრულება, რომ არაფერი ვთქვათ პირველთანრიგოსან სპორტსმენებზე, რომლებიც ქარხანას საერთოდ არ ჰყავს. II-თანრიგოსანი სპორტსმენი უნდა მომზადებულიყო 4, ფაქტიურად დღემდე არც ერთი არ არის მომზადებული.

ამ ქარხნის სპორტსმენებს მეტი მიღწევები ექნებოდათ, ფრენბურთისა და კალათბურთის გუნდებისათვის კარგი ბაზა რომ ჰქონოდეთ. თუმცა ქარხნის ეზოში დაწყებულია სასპორტო მოედნის მშენებლობა, მაგრამ მისი დამთავრება ჭიანურდება.

ქარხნის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ფიზკულტურის საბჭოს და მის სექციებს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

ა. პატარაია

კ ო რ ე ი ს   ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს საღამოს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები ურტყამენ ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევიან, და განაგრძობენ გააფთრებულ შეტევითს ბრძოლებს.

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებიც სამხრეთ სანაპიროზე უტევენ, ურტყამდნენ ამერიკის ჯარებს რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ გადმოელახათ მდინარე და წინ წამოეწიათ, რათა შეეჩერებინათ სახალხო არმიის შეტევა.

ამ დარტყმების შედეგად სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 4 გემი, რომლებითაც მოწინააღმდეგე ცდილობდა გადმოელახა მდინარე, და მოსპეს 4 ტანკი.

ამ რაიონში მოქმედმა სახალხო არმიის ჯარებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე, რომელიც მდინარის გადმოლახვას ცდილობდა, და კვლავ ურტყამენ მას.

სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს ამერიკის ჯარების თავდაცვითი პოზიციები, 1 სექტემბერს გაათავისუფლეს ხამანი (ნიუ-მასანი)— მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი, თავდაცვის კვანძი და კომუნიკაციების ცენტრი ფრონტის სამხრეთ უბანზე და განაგრძობენ გააფთრებულ შეტევითს ბრძოლებს.

ხამანის (ნიუ-მასანის) განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა ზარალი მიაყენეს ამერიკის 25-ე და 24-ე დივიზიების ძირითად ძალებს, ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის მე-19 ბატალიონს, მე-5 რაზმს და ხელთ იგდეს ბევრი დავლა.

ფხენიანი, 2 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს დილით გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილებმა მოიგერიეს ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარების კონტრშეტევა და განაგრძობენ გააფთრებულ შეტევითს ბრძოლებს.

25 აგვისტოს ერთ ასეულამდე ლისინმანელთა ჯარისკაცი და ამერიკის ჯარების რაზმი ცდილობდნენ გადმომსხდარიყვნენ სამხრეთ ჩოლის პროვინციის სოფელ ხედეს მიდამოებში. სახალხო არმიის ნაწილებმა მასირებული ცეცხლით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ეს ცდა, გადმოესხა დესანტი. მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა ზღვაში. მან ბრძოლის ველზე დატოვა 50-ზე მეტი მოკლული, 3 მძიმე ქვემეხი, 20 კარაბინი, 10 შაშხანა, 6 რადიოსადგური, რევოლვერები და საომარი მასალა.

ფხენიანი, 3 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს დილით გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები მოწინააღმდეგეს ძლიერ დარტყმებს აყენებენ და განაგრძობენ შეტევითს ბრძოლებს.

სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ აღმოსავლეთ სანაპიროზე, მტერთან ბრძოლებში, რომელიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევა, 29 და 30 აგვისტოს მოსპეს მოწინააღმდეგის ჯარების დაახლოებით ერთი პოლკი და ხელთ იგდეს დიდძალი დავლა.

სახალხო არმიის ჯარებმა, რომლებიც უტევენ სამხრეთ სანაპიროზე, მთლიანად გაათავისუფლეს კუნძული ნამხე (ნანკაი) — მტრის მნიშვნელოვანი დასაყრდენი ბაზა სამხრეთ სანაპიროზე.

კუნძულ ნამხეს (ნანკაი) განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის დაახლოებით 3 ბატალიონი და ხელთ იგდეს დიდძალი დავლა, მათ შორის საწყობები, რომლებშიც ლისინმანელთა მარიონეტული არმიის ნაშთები ინახავდნენ მოსახლეობისათვის წართმეულ სურსათს, და 15 ავტომანქანა საომარი მასალით.

1 სექტემბერს სახალხო არმიის თვითმფრინავებმა ტეგუს (ტაიკიუ) თავზე რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგესთან საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს ამერიკელთა 3 ავიაგამანადგურებელი.

25-დან 29 აგვისტომდე სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ ფრონტის ყველა უბანზე ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 17 თვითმფრინავი.

პარტიზანული რაზმები, რომლებიც ეხმარებიან სახალხო არმიის შეტევას, სულ უფრო აძლიერებენ თავიანთ მოქმედებას. პარტიზანებმა თავს დაესხნენ მტრის საომარი მასალით დატვირთულ ავტომანქანათა კოლონას, მოსპეს მოწინააღმდეგის 6 ავტომანქანა და დაახლოებით ერთი ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფხენიანი, 3 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს საღამოს გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებიც სპობენ ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარების თავდაცვით სიმაგრეებს, ყველა ფრონტზე განაგრძობენ შეტევითს ბრძოლებს.

აღმოსავლეთ სანაპიროზე სახალხო არმიის ნაწილებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერი ხაზი და განაგრძობენ შეტევას. ამ რაიონში წარმოებულ ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 2.300-ზე მეტი და ტყვედ წამოიყვანეს 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, აგრეთვე ხელთ იგდეს 5 რაკეტული ქვემეხი, 6 ნაღმსატყორცნი, 50-ზე მეტი ქვემეხი, 400-ზე მეტი შაშხანა, 1.000-ზე მეტი ხელყუმბარა და ბევრი სხვა იარაღი და საომარი მასალა.

მოწინააღმდეგის ჯარებში, რომლებიც განუწყვეტლივ მარცხდებიან, სულ უფრო კლებულობს ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბრძოლისუნარიანობა. ლისინმანელთა არმიის ნაშთების ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის, რომლებმაც შეიგნეს, რომ უაზროა წინააღმდეგობის გაწევა, ყოველდღე ძლიერდება მისწრაფება გამოვიდნენ ლი სინ მანის გამცემლური მარიონეტული ხროვის წინააღმდეგ და გადავიდნენ სახალხო არმიის მხარეზე.

აღმოსავლეთ სანაპიროზე ლისინმანელთა არმიის კაპიტანი და 80 ჯარისკაცი, რომლებმაც შეიგნეს ლისინმანელთა რეაქციული ხროვის პოლიტიკის გამცემლური არსი, გადავიდნენ სახალხო არმიის მხარეზე.

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებმაც იიხინი (ციკო) გაათავისუფლეს და მოიგერიეს ამერიკის ჯარების გააფთრებული კონტრიერიშები, გამანადგურებლად ურტყამენ მოწინააღმდეგეს და კვლავ მიიწევენ სამხრეთისაკენ. ამ ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს ამერიკის არმიის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს დიდძალი დავლა.

2 სექტემბერს ვონსანის (ვენზანი) რაიონში სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის ერთი ავიაგამანადგურებელი.

რეიტერის სააგენტო კორეაში საომარი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კორეიდან იუწყება, დღეს განთიადისას ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა ტანკების დახმარებით სამხრეთ სანაპიროზე განაახლეს შეტევა ამერიკის 25-ე დივიზიის წინააღმდეგ, რომელიც პუსანის (ფუზანის) მისადგომებს იცავს. შეტევას წინ უძღოდა ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ძლიერი სროლა.

რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა დაიკავეს ესანი (რეიზანი), რომელიც მასანის ჩრდილოეთით 20 მილზეა. ამერიკის ჯარებმა უკან დაიხიეს აღმოსავლეთისაკენ.

იუწყებიან, რომ აღმოსავლეთ ფრონტზე ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა ერთი კილომეტრით უკან დაახევინეს სამხრეთკორეელებს და კვლავ დაიკავეს კიჯი. ამერიკის ჯარების ოპერატიული ჯგუფი, რომელიც ფხოხანიდან (ხოკოდო) გავიდა, ავიაციისა და ხომალდების დახმარებით ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები.

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, მაკარტურის შტაბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 2 სექტემბერს ღამით ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა დაიწყეს საერთო შეტევა ფრონტის მთელ ჩრდილოეთ უბანზე და ამერიკის ჯარები აიძულეს უკან დაეხიათ 3.500 იარდით თავდაცვის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა კიჯის სამხრეთით დაიკავეს მაღლობი.

ამერიკის ცნობები კორეაში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კორეის სახალხო არმიის ჯარებმა „დაიწყეს დიდი საერთო შეტევა" ფრონტის მთელ ჩრდილოეთ უბანზე. კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა 2 მილით დაახევინეს ამერიკელებს ეგვანის (იკანი) რაიონში და დაიკავეს მაღლობი კიჯის სამხრეთით.

იუწყებიან, რომ ამერიკელთა მე-2 ქვეითმა დივიზიამ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის დახმარებით შეტევა დაიწყო 25 მილი სიგრძის ფრონტზე და ცდილობს შეავიწროოს კორეის სახალხო არმიის ჯარები მდინარე ნაკტონგანს (რაკუტო-კო) გაღმა. ამ შეტევის შესახებ დაწვრილებით არაფერს იუწყებიან.

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკელთა ყველა თვითმფრინავი, „ბ-29" თვითმფრინავების ჩათვლით, გამოყენებულია ამერიკელთა იმ ჯარების დასახმარებლად, რომლებიც ცდილობენ შეაჩერონ კორეის სახალხო არმიის შეტევა.

ტოლიატის ჯანმრთელობის მდგომარეობა

რომი, 3 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით ქალაქ იერეის ჰოსპიტალში 12 დღის ყოფნის შემდეგ პალმირო ტოლიატი ჩავიდა რომში, სადაც იგი გაატარებს გამოჯანმრთელებისა და დასვენების პერიოდს რომის უნივერსიტეტის კლინიკის დირექტორის პროფესორ ჩეზარე ფრუგონის მეთვალყურეობით.

როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, იერეიდან რომამდე ტოლიატიმ იმგზავრა იტალიის სახელმწიფო რკინიგზების სპეციალური სანიტარული ვაგონით, რომელიც ჩამოაყენეს სადგურ იერეიში და შემდეგ მოუბეს ტურინ-რომის ჩქარ მატარებელს. იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა დი ვიტორიომ ტოლიატი ინახულა გუშინ, მატარებელი როცა ტურინში იდგა. გზაში ტოლიატის მიაცილებდნენ მისი პირადი ექიმი დოქტორი სპალონე, სენატორი მოსკატელი და ტოლიატის ოჯახის წევრები.

ტოლიატის გამოჯანმრთელება ნორმალურად მიმდინარეობს და იგი მალე შეძლებს შეუდგეს მუშაობას.

ეროვნული კრების დეპუტატთა პროტესტი საფრანგეთში საბჭოთა ჟურნალების გავრცელების აკრძალვის წინააღმდეგ

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ეროვნული კრების დეპუტატები სენის დეპარტამენტისაგან ფერნან გრენიე და დენიზა ჟინოლენი მივიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში და სტატს-მდივანს ეჟენ ტომას განუცხადეს პროტესტი საფრანგეთში ჟურნალების „სოვეტსკი სოიუზის", „სოვეტსკაია ჟენშჩინას" და „სოვეტსკაია ლიტერატურას" გავრცელების აკრძალვის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ფერნან გრენიემ და დენიზა ჟინოლენმა სტატს-მდივანს მიუთითეს იმ ფაქტის შეუწყნარებლობაზე, რომ საფრანგეთის საბაჟომ მოახდინა მოსკოვიდან კერძო მისამართებით გამოგზავნილი წიგნების კონფისკაცია. ტომამ გონივრული ვერაფერი უპასუხა ეროვნული კრების დეპუტატების მიერ აღნიშნულ ფაქტებზე.

გაფიცვები ფინეთში

ჰელსინკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით დაიწყო ხის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში მექანიკური და სარემონტო სახელოსნოების მუშათა გაფიცვა. გაფიცულნი მეტალისტთა პროფკავშირში შედიან და ამრიგად ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა გაფიცვამ, რაც კვლავ გრძელდება, ისეთი გაფიცვის ხასიათი მიიღო, რომელიც ერთი პროფკავშირის ფარგლებს სცილდება.

გაფიცულთა საერთო რიცხვი 80 ათას კაცს აღწევს.

ამერიკელები იარაღს აწვდიან ნორვეგიას

ოსლო, 2 სექტემბერი. (საკდესი). თავდაცვის შტაბი ოფიციალურად იუწყება, რომ აგვისტოს მეორე ნახევარში ტენსბერგის ახლოს გადმოტვირთეს ამერიკის გემი, რომელმაც ნორვეგიაში ჩაიტანა საომარი მასალები. ცნობაში ნათქვამია, რომ ეს იყო ყველაზე დიდი ტვირთი ამერიკული საჭურვლის აქამდე მიღებული პარტიებიდან.

ბელგიის მთავრობა ფარავს ჟულიენ ლაოს მკვლელებს

ჰააგა, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ჰოლანდიური გაზეთის „დე ვაარჰეიდის" კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, ბელგიის მშრომელნი აღშფოთებული არიან იმით, რომ ბელგიის იუსტიცია, მთავრობის მითითებით, დუმს იმ დამნაშავეებზე, რომლებმაც მხეცურად მოკლეს ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ჟულიენ ლაო, და დუმილით უვლის გვერდს დანაშაულის მოტივებს. მკვლელობაში ეჭვმიტანილი და რამდენიმე დღის წინათ დაპატიმრებული პირები მალე გაათავისუფლეს გულმოდგინე გამოძიების მოუხდენლად.

კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ არლონის ციხე-დარბაზში რექსისტებს აღმოუჩინეს იარაღის ახალი საწყობი. მაგრამ ამ საწყობის პატრონი არ დაუპატიმრებიათ. ბრიუსელში მთავრობის შენობიდან რამდენიმე ასეულ მეტრზე შეიქმნა „ლეორექსისტთა" ფაშისტური ცენტრი, რომელიც აქტიურ საქმიანობას აჩაღებს.

კორესპონდენტი იუწყება, რომ ფაშისტური რეაქციის პარპაშის პასუხად ბელგიის მუშათა კლასი განამტკიცებს თავის რიგებს. ბელგიის კომუნისტურმა პარტიამ მუშებს მიმართა მოწოდებით: „ჩადექით ჟულიენ ლაოს პარტიის რიგებში!" ეს მოწოდება მხურვალე გამოხმაურებას პოულობს ბელგიის მუშათა კლასის მოწინავე ფენებში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდში" გამოქვეყნებულია შემდეგი ცნობა:

„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმის გადაწყვეტილების შესასრულებლად პოლიტბიურომ 24 აგვისტოს განახორციელა შემდეგი ღონისძიებანი:

ამერიკის დაზვერვის აგენტ ნოელ ჰ. ფილდთან კავშირისა და კლასობრივი მტრისათვის ფართო დახმარების გაწევისათვის პარტიიდან გაირიცხნენ პაულ მერკერი, ლეო ბაუერი, ბრუნო ჰოლდჰამერი, ვილი კროიკემაიერი, ლექს ენდე და მარიამ ბოიტერენი.

ამხანაგები ბრუნო ფურმანი, ჰანს ტოიბნერი, ვალტერ ბელინგი და ვოლფგანგ ლანგჰოფი, რომელთა მოღვაწეობამაც გამოიწვია კლასობრივი მტრისათვის არაპირდაპირი მხარდაჭერა, ჩამოშორებულ იქნენ ყოველგვარი ფუნქციის შესრულებისაგან".

გაზეთის მიერ მოყვანილ ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ყველა 10 კაცის წინააღმდეგ ბრალდების გამოსავალ პუნქტს შეადგენს ერთი და იგივე, მრავალი წლის, ხოლო ნაწილობრივ უკანასკნელ დრომდე შენარჩუნებული კავშირი ინგლის-ამერიკის დაზვერვის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით ამერიკელ ჯაშუშ ნოელ ჰ. ფილდთან, რომლის სახელიც იხსენიებოდა ლასლო რაიკის საქმეზე 1949 წლის სექტემბერში ბუდაპეშტში წარმოებული სასამართლო პროცესის დოკუმენტებში. ამ პროცესზე გამოირკვა, რომ ნოელ ჰ. ფილდი იყო მთავარი თანაშემწე ალენ დალესისა (ომის დროს შვეიცარიაში შექმნილი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიული ჯაშუშური სამსახურის ევროპის ცენტრის ხელმძღვანელი — რედ. შენიშვნა). ნოელ ჰ. ფილდი ოფიციალურად ითვლებოდა უსკ-ის (უნიტარული ეკლესიის საქველმოქმედო კომისია) წარმომადგენლად ევროპაში, ნამდვილად კი დალესის უშუალო თანამშრომელი იყო ჯაშუშობის მოწყობაში. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელად ყოფნისას იგი ეკონომიურ დახმარებას უწევდა პოლიტიკურ ემიგრანტებს და ამ გზით ამყარებდა მათთან კავშირს და მეგობრულ ურთიერთობას, აგრეთვე აწყობდა ამერიკის ჯაშუშურ ორგანოებში ადამიანთა გადაბირებას. ფილდი ფულს აძლევდა მოსყიდულ აგენტების შეგროვებისა და მათს სამშობლოში გადაყვანისათვის. შუამავალთაგან მას მისდიოდა ჯაშუშური ცნობები უშუალოდ დალესისათვის გადასაცემად. მას სხვადასხვა აბრით თავისი განყოფილებანი ჰქონდა ჟენევაში, მარსელსა და პარიზში.

ამერიკის აგენტ ფილდს, ნათქვამია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობაში, უეჭველია, ჰქონდა აგრეთვე დავალებანი, რომლებიც გერმანელი ემიგრანტების გადაბირებას ეხებოდა. ემიგრანტების სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფში შესაღწევად იგი ხმარობდა ერთსა და იმავე მეთოდს: თავი მოჰქონდა დევნილი ანტიფაშისტების მეგობრად, რაც ხელს უწყობდა მას დაუმსახურებელი ნდობის მოპოვებაში. მაგრამ მის „წარმატებათა" მთავარი მიზეზი იყო არა მისი საკუთარი მოხერხებულობა, არამედ დასავლეთ ქვეყნებში გერმანელ ემიგრანტთა ხელმძღვანელობის ყოფილი წევრების დანაშაულებრივი პოლიტიკური უდარდელობა.

შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობაში დაწვრილებით მოთხრობილია, თუ როგორ დაამყარა ფილდმა 1939 წლიდან კავშირი გერმანელ პოლიტიკურ ემიგრანტებთან საზღვარგარეთ. მაშინ ბევრმა მათგანმა დაუშვა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები. ამ შეცდომებისა და იდეოლოგიური სისუსტის შედეგად ისინი გადაიქცნენ კლასობრივი მტრის იარაღად და სულ უფრო შორდებოდნენ პარტიას.

„ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს,—ნათქვამია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობაში,—იმ პირთა ქცევა, რომლებიც ნახსენები არიან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში, ჰიტლერული რეჟიმის კრახის შემდეგ გერმანიაში მათი დაბრუნებისას. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ შეეგნოთ თავიანთი შეცდომები, ეღიარებინათ ისინი და დაემტკიცებინათ, რომ მზად არიან გამოასწორონ ეს შეცდომები. ამისათვის მათ, უწინარეს ყოვლისა, პარტიის ხელმძღვანელობისათვის უნდა ეცნობებინათ ყველაფერი, რაც მოხდა, და დახმარება გაეწიათ პარტიისათვის საბოლოოდ გაენადგურებინა ამერიკის აგენტურა. მათ სწორედ საწინააღმდეგო რამ ჩაიდინეს. ისინი არა მარტო დუმდნენ ყოველივე ამაზე, არამედ ნაწილობრივ განაგრძობდნენ თავიანთ კავშირს ფილდთან და ცდილობდნენ თვით იგი და მისი თანაშემწეებიც კი გერმანულ დაწესებულებებში შეეყვანათ".

ფილდის პირადი და წერილობითი კავშირი ბერლინსა და სხვა ადგილებში გრძელდებოდა 1949 წლის გაზაფხულამდე, ესე იგი უნგრეთში რაიკის ბანდის გამოაშკარავებისა და დაპატიმრების მომენტამდე. მაგრამ ამის შემდეგაც იმ პირთა ნაწილმა, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ფილდთან, ვერ იპოვნა პარტიის გზა. გამოძიების დროს გამოირკვა, რომ მთელ რიგ ყოფილ ემიგრანტებს არა სურთ დაეხმარონ პარტიას და აცნობონ ყველა ნამდვილი ამბავი. რაიკის პროცესის შემდეგ ამ პირებმა პარტიას არ აცნობეს, რომ კავშირი ჰქონდათ ნოელ ჰ. ფილდთან, და ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ განაცხადეს, როდესაც მათ ეს მოსთხოვეს. შეიძლებოდა ცხადად გაგვეგო, რომ მათ გვიამბეს მხოლოდ იმ ფაქტებზე, რომლებშიც შეიძლებოდა მათი გამტყუნება. ამასთან მათ ფილდთან თავიანთი მოლაპარაკების შინაარსის შესახებ მარტო არასრული ცნობები შეგვატყობინეს. მათი დუმილი პარტიისათვის წარმოადგენდა მათი უპატიოსნობის დამამტკიცებელ საბუთს.

გამოძიება ფილდის საქმესთან დაკავშირებით, ნათქვამია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობაში, ჯერ არ დამთავრებულა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პირველი ცნობა იქნება წვლილი მდგომარეობის შემდგომი გარკვევის, პარტიაში მყოფი ნაძირალებისაგან, მტრის აგენტებისა და წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან პარტიის გაწმენდის საქმეში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობა ხაზს უსვამს პარტიაში სიფხიზლის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის მნიშვნელობას და დასასრულ აღნიშნავს: „ჩვენი ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტი არ შეუშინდა თვითკრიტიკას დასავლეთ ქვეყნებში ყოფილი ემიგრანტების საქმეზე ცენტრალური პარტიული საკონტროლო კომისიის გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით. მან ცხადყო, რომ პარტიული გამგეობა აგრეთვე არასაკმაოდ ფხიზელი იყო. მე-3 პარტიულ ყრილობამდე პარტიის ხელმძღვანელობაში აღინიშნებოდა შემრიგებლური ტენდენციები ისეთი პარტიული მუშაკების მიმართ, რომლებმაც წარსულში სერიოზული შეცდომები ჩაიდინეს. ამ შემთხვევების მეტი წილი, რომელთა შესახებაც მასალები არსებობდა, საკმაოდ მალე არ იყო გამოძიებული. ზემომოყვანილი კომუნიკე ამტკიცებს, რომ ახლა დაწყებულია ბრძოლა ამ მავნე ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო".

დამთავრდა გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების კონგრესი

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების მესამე კონგრესმა.

კონგრესის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ახალი წესდება, რეზოლუცია მშვიდობისათვის, ერთიანობისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლაში პროფკავშირთა ამოცანების შესახებ და რეზოლუცია კულტურულ-მასობრივი მუშაობის შესახებ.

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ახლად არჩეული გამგეობის სხდომაზე არჩეულ იქნა გამგეობის სამდივნო, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე და მისი მოადგილეები. გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ჰერბერტ ვარნკე, ხოლო მის მოადგილეებად — ვალეკო შტარკი და რუდოლფ კირხნერი.

ჰერბერტ ვარნკემ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების მესამე კონგრესს გერმანიაში პროფკავშირული მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის, რეაქციისა და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, მშვიდობისათვის, გერმანიის ერთიანობისა და მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად.

ვარნკემ კონგრესის მონაწილეთა ტაშის გრიალში და მისასალმებელ შეძახილებში დღეგრძელობა უსურვა მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალურ ბელადს იოსებ ბესარიონის ძე სტალინს.

კონგრესი დამთავრდა „ინტერნაციონალის" მღერით.

მზადება თვითმოქმედი მხატვრული წრეების საკავშირო დათვალიერებისათვის

ხალხური შემოქმედების მუშაკთა სახლმა უკვე დაიწყო მზადება თვითმოქმედი მხატვრული წრეების საკავშირო დათვალიერებისათვის. წინასწარ მოეწყობა თვითმოქმედი წრეების ადგილობრივი და რესპუბლიკური დათვალიერებები. ხალხური შემოქმედების სახლის წარმომადგენლები ხშირად არიან რაიონებში, სადაც ადგილობრივ თვითმოქმედ წრეებს უწევენ დახმარებას, მართავენ ლექციებს, საუბრებს. თვითმოქმედი წრეების ხელმძღვანელებისათვის ეწყობა სემინარები მუსიკალურ-თეატრალური ქორეოგრაფიის დარგში.

თვითმოქმედი მხატვრული წრეების საკავშირო დათვალიერება მოეწყობა 1951 წლის მარტში.

ნორჩი ტურისტების მოგზაურობანი

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ წელს ზაფხულის განმავლობაში მოაწყო ორი დიდი ლაშქრობა: მეცნიერულ-კვლევითი ხასიათის ლაშქრობა და ტურისტულ-ალპინისტური ხასიათის ლაშქრობა.

მეცნიერულ-კვლევითი ლაშქრობის მიზანი იყო მოგზაურობა ფშავ-ხევსურეთში, ხალხური ფოლკლორის შეგროვება, ისტორიული ძეგლების შესწავლა და სხვ.

ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობა მოეწყო შემდეგი მარშრუტით: თრიალეთის ქედით შიდა ქართლში გორამდე — გორი—თბილისი. ამ ლაშქრობის მიზანი იყო გამოკვლევა საკითხისა — რა სიმაღლეზე როგორ იზრდება კულტურული მცენარე პური და სხვა მცენარეები.

ნორჩი ალპინისტები დიდი მონდომებით აწარმოებდნენ დაკვირვებას, აგროვებდნენ ახალ მასალებს პურის ჯიშების შესახებ, უშვებდნენ საველე მხატვრულ გაზეთს „ნორჩ ტურისტს", სადაც აღწერილია ამ მოგზაურობის ყველა საინტერესო მომენტი.

ქალაქის ახალი უბნების კეთილმოწყობა

თბილისის დიდი სამრეწველო უბანი გახდა ნავთლუღი. ყოველ წლობით ახალ-ახალ საწარმოთა კორპუსები ემატება ამ რაიონს და ამასთან დაკავშირებით იზრდება მოსახლეობა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ნავთლუღის სამრეწველო რაიონში ორი ახალი მუშათა საცხოვრებელი უბანი გაშენდა. თბილისის საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა შეუდგეს ამ უბნების კეთილმოწყობას და გამწვანებას.

თბილისის საბჭოს არქიტექტურის განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს ამ ახალ უბანთა კეთილმოწყობის პროექტი და შეადგინოს სათანადო გეგმა ქუჩების კეთილმოწყობის, გამწვანების, მიწისქვეშა გაყვანილობის სამუშაოთა შესასრულებლად.

ქ რ ო ნ ი კ ა

⊙ ვაკის ახალ პარკთან წარმატებით მიმდინარეობს პარკის მთავარი შესასვლელის მშენებლობა. დაამთავრეს ორი 13-მეტრიანი სვეტის აღმართვა და გაფორმება, შეუდგნენ შესასვლელის დანარჩენი ნაწილების გაფორმებას.

⊙ თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში აწყობს გამოფენას — „ძველი თბილისი გარეშე მტრებთან ბრძოლაში".

⊙ ბელინსკისა და ლენინის ქუჩების კუთხეში დაწყებული ხუთსართულიანი სახლის მშენებლობა და სახლის შიგნითა მოწყობა თბილისის საბჭოს აღმასკომის მითითებით უნდა დამთავრდეს წელს დაზამთრებამდე.

⊙ ფალიაშვილის ქუჩაზე საქართველოს ნავთის მრეწველობის მასალებით მომარაგების ტრესტის მუშაკთათვის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაგებად თბილისის საბჭოს აღმასკომმა გამოჰყო მიწის ნაკვეთი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

2, 3 და 4 სექტემბერს ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში. მოსკოვის „დინამოს" და სტალინგრადის „ტორპედოს" შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 1:0. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი" 2:0. ხარკოვის „ლოკომოტივმა" მოიგო „ვვს", ანგარიშით 2:1.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სამადლობელი წერილი კიმ ირ სენისადმი სამხრეთ კორეის განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობისაგან

ფხენიანი, 3 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ კორეის მოსახლეობა, რომელიც გმირი სახალხო არმიის ძლევამოსილი შეტევის მეოხებით განთავისუფლდა ამერიკული იმპერიალიზმისა და ლი სინ მანის მარიონეტული მთავრობის ფაშისტურ-პოლიციური რეჟიმისაგან, კიმ ირ სენს უგზავნის სამადლობელ წერილებსა და რეზოლუციებს, რომლებიც ამავე დროს გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს მტრებისადმი და ბოლომდე ბრძოლის მტკიცე სურვილს.

სამი ათასზე მეტი წერილი და რეზოლუცია მიღებულია ჩრდილოეთი და სამხრეთი ჩუნჩენის, ჩრდილოეთი და სამხრეთი ჩოლის პროვინციების გლეხებისაგან, რომლებიც ამას წინათ განთავისუფლდნენ და ახლა ირჩევენ ხელისუფლების ორგანოებს—სახალხო კომიტეტებს. ხალხი წერილებითა და რეზოლუციებით სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ იგი საუკუნოდ განთავისუფლდა დუხჭირი ცხოვრებისაგან, ნამდვილი პოლიტიკური უფლებები და თავისუფლება მიიღო. გლეხები მადლობას უძღვნიან კიმ ირ სენს იმისათვის, რომ მან ისინი გაათავისუფლა ულმობელი ექსპლოატაციის რეჟიმისაგან და მიწის მუდმივი მეპატრონეები გახადა.

29 მილიონი ვონი კორეის სახალხო არმიისათვის თვითმფრინავების მშენებლობის ფონდში

ფხენიანი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო გადმოგვცემს, სეულის მრეწველებსა და ვაჭრებს კვლავ შეაქვთ სახსრები სახალხო არმიისათვის თვითმფრინავების ასაგებად.

26 აგვისტოს სეულის პურის ქარხანა „ჩირ სენის" მეპატრონემ კიმ იუჩან დიუმ 279 ათასი ვონი შეიტანა თვითმფრინავ „სეულის საჩუქრის" ასაგებად; 27 აგვისტოს „სამ სენის" საფეიქრო ფაბრიკების კომპანიის დირექტორმა პაუ სირ ჩერმა შეიტანა 838 ათასი ვონი, მრეწველთა გაერთიანების დირექტორმა იუ პენმა—313 ათასი ვონი. 28 აგვისტოს წამლების მწარმოებელი სააქციო საზოგადოების „კე რიმის" დირექტორმა კიმ ვონ ტიაკმა შეიტანა 500 ათასი ვონი. ამავე დღეს კიმ ჩი სუმ, რომელიც ზონ ლოს რაიონში ცხოვრობს, თვითმფრინავების მშენებლობის ფონდს გადასცა 300 ათას ვონად ღირებული ძვირფასი ნივთი, კომპანია „დია სენის" დირექტორმა კიმ ენ იურმა შეიტანა 210 ათას ვონად ღირებული ფასეულობანი.

29 აგვისტოსათვის სეულში თვითმფრინავების ასაგებად შეგროვებული სახსრების საერთო თანხა 29 მილიონ ვონს შეადგენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო იუწყება რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის **ნატალია ჯავახიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-IX, 4 ს. ხელოვნების მუშაკთა სახლიდან (მახარაძის ქ. № 8).

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება საქართველოს სსრ სახალხო არტისტის **ნატალია გრიგოლის ასულ ჯავახიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. კოტიას მისი შვილის **მანანას** გარდაცვალების გამო.

გ. ნანუკაშვილი, ი. ნადარეიშვილი, ი. კერესელიძე, ნ. ციმაკურიძე, ე. ურუშაძე, ქ. ავალიშვილი, ა. იოსელიანი, ს. გურული, ი. არონშტეინი, ს. ოვასაპოვი, ა. კაკეტელაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ჟულიეტა და მიშა გაბაშვილებს მათი მამის **გრამიტონ გიორგის-ძე მოწონელიძის** გარდაცვალების გამო.

თომა, მარო, ლეო, ფატი, დავით, ლალა, ოთარ და ნოდარ ჭოლოკავები იუწყებიან **იოსებ ბეროს-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას.

დეიდა აღათი, დეიდაშვილები არისტარხი, ქსენია, შურა, აპოლონ, ტიტე, მარიკა მშვიდობაძეები, რძლები და სიძეები შვილებით იუწყებიან **ელენე დავითის ასულ გურიელი-მჟონიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IX ბათუმში, გამოსვენება შაუმიანის, 100.

მეუღლე ელისაბედ, შვილები იოსებ, პარმენ, რძლები ლიდა, გოგუცა, შვილიშვილები კარლო მეუღლით, ანზორ, ლამარა, ცისანა და თამაზ იუწყებიან **ივანე გიორგის-ძე ვაჩეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IX, სოფ. კოხნარში.

დ. ჭურაძე, ს. ჭანტურიძე, ბ. ბოხუა, ზ. ვადაჭკორია, დ. რეიკინი, ა. ლანჩავა, ა. შიშველაშვილი, ლ. ცინცაძე, ი. ტრაპაიძე თანაგრძნობას უცხადებენ ბ. ჩახაიას მისი შვილის პატარა **დალის** გარდაცვალების გამო.

მშობლები ვერა, ბესარიონ, და ციური ჩახაიები, ბებიები მაშო და მაშა, ბაბუა მიხა, დეიდა ზინა იუწყებიან პატარა **დალის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-IX, 5 ს. ნიაღვრის I შესახვევი, 2.

თ. გოგოლაძე, მ. ხარაბაძე, ქ. იოსელიანი, ე. მაჭავარიანი, გ. თავდგირიძე, კ. მესხი, ვ. ჟღენტი, ვ. ელიაძე, ვ. ფანცულაია, რ. მძინარაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. მოწონელიძეს მისი მამის **გრამიტონ გიორგის-ძე მოწონელიძის** გარდაცვალების გამო.

თ. კანდელაკი, ქ. გოგაური, თ. ჭყონია, ლ. აგეევა, ქ. სალუქვაძე, თ. ივანოვა, კ. ლანდია, ი. თავბერიძე თანაგრძნობას უცხადებენ თინა ფიჩხაიას და რუბენ ლოდიას მათი შვილის პატარა **ნიკუშას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მარიამ, შვილები კანო, ნათელა იუწყებიან **ილია ივანეს-ძე პაატაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-IX, 5½ ს. საბჭოს, 2.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გრიშა კიპაროიძეს მისი დედის **მარიამის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლ. ლაზრიევს მისი დედის **ნინოს** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 5-IX ანანურში.

აღათი, ელენე, გრიშა, ქეთო, თამარ ჯიბლაძეები, სამსონ თვალჭრელიძე, ვალიდა, გოგა, კოლია, თემური, ნატა და მარინე იუწყებიან **გრამიტონ გიორგის-ძე მოწონელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-IX, 5 ს. სოფ. თეზში (კასპის რაიონი).

მარიამ, ლუკა, ლუბა, შოთა და ვოვა ლაცაბიძეები ოჯახებით იუწყებიან **ბალიკო იოსების ასულ გოგოჩაშვილი-მირზოევის** გარდაცვალებას.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება რესპუბლიკის სახალხო არტისტის **ნატალია გრიგოლის ასულ ჯავახიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-IX, 5 ს. ხელოვნების მუშაკთა სახლიდან (მახარაძის, 8).

თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების კვებმრეწკომბინატის დირექცია, პარტორგანიზაცია, პროფორგანიზაცია და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ი. კიპაროიძეს მისი დედის **მარიამ იოსების ასულ კიპაროიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე აგრაფინე, შვილები მაშურა, დავით, ლენა, ეთერ, ნაზო, რძალი მარო კიკნაძე, სიძეები დავით გრიგოლავა, ვანო ჯიქია, კარლო ნაცვალაძე შვილებით იუწყებიან **ხერგო ნიკოლოზის-ძე ცაგარეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IX, წულუკიძეში, ძნელაძის, 37.

მარო და ვარლამ მოგელაძეები, ვერა და სტეფანე ელიაძეები შვილებით თინა და ოთარით, სიძით აკაკი ჰაპაშვილით იუწყებიან სიძის და ქვისლის **ხერგო ნიკოლოზის-ძე ცაგარეიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეკა, შვილები დარიკო, ბაგრატ, ანდრო, ვარლამ, რძლები ვერა, მარიამ და ელენე, შვილიშვილები ნადია, გრიგოლ, გუგული, ვლადიმერ, ნაზია, რუსუდან, ოთარ, ანზორ, ჯემალ, ამირან, ვალინა, აზა იუწყებიან **ვასილ საბას-ძე ხაჟალიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-IX კულაშში.

ა. ნათიშვილი, ვ. ჟღენტი, გ. ცაგარელი, ი. ყრუაშვილი, მ. ლომინაძე, ს. უჩანეიშვილი, ლ. ედილაშვილი, ი. ზურაბიშვილი, დ. ჯანჰარაძე, ნ. ყრუაშვილი, ვ. ზაქაროვი, ნ. ფირცხალაიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ვერა და ნიკოლოზ მოწონელიძეებს **გრამიტონ მოწონელიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ოლია, შვილები მიშა და მარგო, რძალი ლიდა, შვილიშვილები ლიანა და ლალი იუწყებიან **იოსებ ბეროს-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-IX, 8 ს. გამოსვენება 7-IX, 6 ს. მაგისტრალის I შესახვევი, 17.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3 81 84, სასოფლო-სამეურნეოსი —3 57-01, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3 81 65, გამომცემლობისა — 3 51 81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05412